ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი
№ 271 (11275) | კვირა, 23 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

# მარქსიზმ - ლენინიზმის დიადი დროშით

„პრავდის“ 22 ნოემბრის მოწინავე.

ერთი წლის წინათ მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირები. ეს თათბირები, რომლებიც იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი და ფართო თათბირები, დამთავრდა მჭიდრო თანამშრომლობისა და ერთსულოვნების ატმოსფეროში, რაც ასახავს მოძმე პარტიების ურთიერთობას, რომლებიც დაკავშირებული არიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო მიზნით. მათ დამაჯერებლად ცხადყვეს სოციალისტური ბანაკისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის მიერ მიღებული დეკლარაცია და 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირის მიერ მიღებული მშვიდობის მანიფესტი წარმოადგენენ დიდი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი ძალის დოკუმენტებს. ამ დოკუმენტებში შემოქმედებითად, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან განზოგადებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების კოლექტიური გამოცდილება. ნაჩვენებია მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტური მოძრაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. მოსკოვის თათბირების საპროგრამო დოკუმენტები მოიწონა ყველა მოძმე კომუნისტურმა პარტიამ.

მოსკოვის თათბირების შემდეგ განვლილი წელი აღინიშნა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებით, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხთა ახალი თვალსაჩინო გამარჯვებებით, მთელი მსოფლიოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების მძლავრი ზრდით. ეს იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების შემდგომი კონსოლიდაციის, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მათი რიგების იდეური და ორგანიზაციული შეკავშირების წელი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც განუხრელად იზრდება და მტკიცდება, სოციალისტური ქვეყნების მძლავრი და ურღვევი ბანაკი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარია. თანმიმდევრულად ახორციელებენ რა დეკლარაციის პრინციპებს, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მიაღწიეს კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობასა და თავიანთი მოქმედების ერთიანობას სოციალიზმის ბანაკის განმტკიცებაში, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო მოვლენების მთელ მსვლელობაზე.

ეს მთელი დამაჯერებლობით ცხადყვეს ჩინეთის კომპარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობის მეორე სესიამ, ბულგარეთის კომპარტიის VII ყრილობამ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XI ყრილობამ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობამ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XIII ყრილობამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური ქვეყნების სხვა მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებმა, რომლებიც მიმდინარე წელს გაიმართა.

თანამედროვე მსოფლიო განვითარება განისაზღვრება ორი საზოგადოებრივი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიური შეჯიბრების მსვლელობით და შედეგებით. სასიცოცხლო ძალებით აღსავსე სოციალისტური სისტემა განიცდის მკვეთრ აღმავლობას, ცხადყოფს განუზომელ უპირატესობას კაპიტალიზმის სისტემის წინაშე, რომლის არსებობას ბოლო ეღება, რომელიც დაცემის გზაზეა. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით სულ ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ პარტიებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და მათი მოქმედების შეთანხმებას, პარტიისა და მთავრობის დელეგაციების მოგზაურობას მოძმე ქვეყნებში და პარტიული დელეგაციების დასწრებას კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობებზე.

სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კომუნიკეს 1958 წლის ივლის-აგვისტოში ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ პეკინში და სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობა და თანამშრომლობა მიაჩნიათ სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით ორივე ქვეყნის არა მარტო სწრაფი წინსვლისა, არამედ აგრეთვე მთლიანად სოციალისტური ბანაკის ძლიერების განმტკიცების საწინდრად. სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხ. ა. ნოვოტნის მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. გომულკას მეთაურობით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნა სსრ კავშირში.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის დამყარებული ფართო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა დაფუძნებულია სრულ თანასწორუფლებიანობასა და ამხანაგურ ურთიერთდახმარებაზე. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც 1958 წლის მაისში გაიმართა, დასაბამი მისცა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის ახალ, უფრო მაღალ ეტაპს. იგი მოასწავებს სოციალისტურ ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო განაწილების გაღრმავებას, ურთიერთდაკავშირებული დარგების განვითარების გეგმების შეთანხმებას, მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში კოოპერაციისა და სპეციალიზაციის გაძლიერებას.

დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა უდიდესი როლი შეასრულეს მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში მათ მუშათა კლასის ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტია შეაიარაღეს მშვიდობისათვის, მშრომელთა სასიცოცხლო უფლებებისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის ნათელი პროგრამით. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების პოზიციების განმტკიცება, მშრომელთა ფართო მასებზე მათი გავლენის გაძლიერება ცხადი გახდა შვეციის, იაპონიის, ურუგვაის, დანიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობებზე.

კომუნისტურმა პარტიებმა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ერთგულება, მაღალი იდეურობა და პოლიტიკური სიმწიფე გამოიჩინეს რევიზიონიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ და პრინციპულ ბრძოლაში, რევიზიონიზმისა, რომელიც, როგორც დეკლარაციაშია ხაზგასმული, თანამედროვე პირობებში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მუშათა მოძრაობაში. თანამედროვე რევიზიონიზმმა, რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, გამოაცალოს მას რევოლუციური სული, ყველაზე სრული გამოხატულება პოვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამით, მათი ხელმძღვანელების გამონათქვამებით. მუშათა კლასის ყველა რევოლუციურმა პარტიამ იუგოსლავიის პროგრამა შეაფასა როგორც რევიზიონისტული პროგრამა და მკაცრად დაგმო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელთა ძირგამომთხრელი, გამთიშველი საქმიანობა.

უაღრესად ცოცხალი გამოხმაურება ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებში, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეებში, კეთილი ნების ადამიანებში პოვა მშვიდობის მანიფესტმა, რომლითაც მათ ერთი წლის წინათ მიმართეს 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა. ამ დოკუმენტის მგზნებარე სიტყვებმა ხალხებს ჩაუნერგეს რწმენის გრძნობა, რომ შესაძლებელია ომის თავიდან აცილება, აღაფრთოვანეს ისინი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად. ომი, რომლის გაჩაღებასაც არაერთგზის ცდილობდნენ უკანასკნელ დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმპერიალისტები, თავიდან აცილებულ იქნა სოციალისტური ქვეყნების, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის ძალებით. ახლა ყველა ხედავს, რომ ომის ზღვარზე ბალანსირების, გამალებული შეიარაღების იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც ხალხებს სძულთ, სრულ კრახს განიცდის. მთელი პროგრესული კაცობრიობის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა.

მთელი მსოფლიოს მშრომელები დიდი ყურადღებით და ინტერესით ადევნებენ თვალს საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებით მუშაობას, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მტკიცედ აშენებს კომუნიზმს. მათ მხურვალედ მიიღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალ ეტაპს — გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ეტაპს. შვიდწლიანი გეგმის განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის ეკონომიურ ძლიერებას, იგი იქნება ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების ახალი დადასტურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის — გადაწყვეტილებანი ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისშემძლე იდეების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

# დიდი თაოსნობის ახალი განვითარება



## ლენინურად, კომუნისტურად

კომუნიზმი მსოფლიოს სიჭაბუკეა და იგი ახალგაზრდობამ უნდა ააგოს, — ამბობდა მაიაკოვსკი. ეს მარტო პოეტის ხატოვანი თქმა როდია. ასე ფიქრობს დღეს ყოველი საბჭოთა ჭაბუკი და ქალიშვილი და არა მარტო ფიქრობს, საქმითაც ადასტურებს.

საბჭოთა ახალგაზრდობის ცეცხლოვანმა მგზნებარებამ, შეუპოვარმა მისწრაფებამ სამშობლოსა ხალხის ნათელი მომავლისაკენ დაბადა კომუნისტური შრომის ბრიგადები. ამ შესანიშნავი თაოსნობის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომკავშირელები. ახალგაზრდობის ამ პატრიოტული მოძრაობის ესტაფეტა გადადის საწარმოდან საწარმოში, ქალაქიდან ქალაქში.

და ესტაფეტა თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატშიც“ მიიღეს. მხეხავთა ბრიგადირმა ზ. რუსიამ სამუშაოზე მოსვლისთანავე ჰკითხა ბრიგადის წევრებს:

— ბიჭებო, დღევანდელი გაზეთები წაიკითხეთ? მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომკავშირელების თაოსნობაზე წერენ, რა ძვირფასი საქმე წამოუწყიათ.

— აბა გვაჩვენე გაზეთები, — დაინტერესდნენ ბრიგადის წევრები.

წაიკითხეს, დაფიქრდნენ, ითათბირეს.

და აი რა თქვეს:

ჩვენი ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა დავალებების განაღდებაში ყოველთვის პირველი იყო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ახლა ჩვენ სხვანაირად უნდა შევხედოთ შრომას, ისე, როგორც კომუნიზმის ხვალინდელი დღე მოითხოვს. შვიდწლიანი გეგმა, რომელიც მოცემულია პ ა რ ტ ი ი ს XXI ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, წარმოადგენს გადამწყვეტ ეტაპს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ცხოვრება ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს ბეჯით სწავლას, მაღალ შეგნებას და სისტემატურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო საქმეში.

ახალგაზრდებმა თავიანთი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადად გამოაცხადეს.

მხეხავმა გ. ხურცილავამ ჯიბიდან ფანქარი და ქაღალდი ამოიღო: ვალდებულებები ჩამოვწეროთ.

— ყოველდღიურ დავალებებს შევასრულებთ 240-260 პროცენტით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვით შვიდწლედის ბოლოსათვის 48 პროცენტით ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას, — უკარნახა ბრიგადირმა.

— ჩავწეროთ, რომ წუნს არ გამოვუშვებთ, სანიმუშო სისუფთავესა და წესრიგს დავიცავთ სამუშაო ადგილზე, — დაუმატა ვ. ანასტასიდიმ.

განვამტკიცებთ ბრიგადაში დისციპლინასა და მეგობრულ კავშირს; ვიბრძოლებთ ბრიგადის ტექნიკური სწავლებისათვის, ბრიგადის ყოველი წევრი უახლოეს ექვს თვეში უნდა დაეუფლოს მეორე პროფესიას;

მიმდინარე სასწავლო წელს ბრიგადაში ყველა საშუალო განათლებით იქნება, 3-4 წელიწადში შევალთ უმაღლეს სასწავლებელში და საქმეს ისე დავაყენებთ, რომ 1965 წელს ბრიგადის ყველა წევრს უმაღლესი განათლება ჰქონდეს;

ბრიგადის ყოველი წევრი წელიწადში შემოიტანს ერთ რაციონალიზატორულ წინადადებას მაინც, თვალისჩინივით მოვუვლით ჩარხებს;

აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ქარხნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიბრძოლებთ ლოთობის და კაპიტალიზმის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ.

— ხომ არ გამოგვრჩა რამე, — იკითხა გ. საფაროვმა.

— არა უშავს რა, ჩვენს სინდისზე იყოს, — უპასუხა ამხანაგს ა. გაშიმოვმა.

ჩვენს სინდისზე იყოს!.. ბევრს ძალიან ბევრს ნიშნავს კომუნისტური სინდისი. ვალდებული არ იყვნენ, მაგრამ სინდისმა უკარნახა კომუნისტური ბრიგადის წ ე ვ რ ე ბ ს თავისუფალ დროს იმუშაონ ქარხნის ეზოს კეთილმოწყობაზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე.

ა. ხუცუა.

* * *

სურათზე: ქარხანა „ელექტროავტომა ტ ი ს“ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ბ. სირაძე, ზ. რუსია, გ. ავაზაშვილი, შ. ურდულაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მეტი ქვანახშირი სამშობლოს

**ტყიბული. (საკ. კორ.).** მეშახტეები ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს.

— შვიდწლიანი გეგმა, — განაცხადა ნოვატორმა მეშახტემ დ. კაცაძემ, — პასუხსაგებ ამოცანებს სახავს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე. მომავალ შვიდწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი თვითღირებულების შემცირებას. წელს ჩვენი შახტი ქვანახშირის ამოღების გეგმას გადაჭარბებით ასრულებს, პირადად ჩემმა ბრიგადამ მარტო ნოემბრის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 300 ტონა ქვანახშირი ამოიღო, მაგრამ მისი ხარისხი სახარბიელო არ იყო. ჩვენ ჯერ კიდევ სუსტად ვიბრძვით პროდუქციის ხარისხისათვის, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ პროგრესული მეთოდით — ციკლური გრაფიკით მუშაობას, შრომის სწორ ორგანიზაციას.

დ. კაცაძემ მეშახტეებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ მოუწოდა და თავის მხრივ ვალდებულება იკისრა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიური ნორმა სულ მცირე 150 პროცენტით შეასრულოს.

## გეგმების შესრულება

**ლანჩხუთი** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 18 ნოემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 217.102 კილოგრამი პარკი — 42.602 კილოგრამით მეტი შარშანდელთან შედარებით.

რაიონის მეაბრეშუმეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 2.500 კილოგრამი პარკი. (საქდესი).

**კასპი** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ბოსტნეულის, ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, რძისა — 101, ბოსტნეულისა — 107, ხილის — 163 პროცენტით. შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. სილოსი დამზადდა 28 ათასი ტონა.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის საბჭოთა კავშირის გმირის რ. ი. მალინოვსკის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის საბჭოთა კავშირის გმირის რ. ი. მალინოვსკის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. როდიონ იაკობის-ძე **მალინოვსკი** დაჯილდოვდეს **„ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით,** აიგოს ბრინჯაოს ბიუსტი და დაიდგას იგი კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 22 ნოემბერი.

# ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

## დელეგაცია ერაყელ საზოგადო მოღვაწეთა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის

21 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მშვიდობისათვის მებრძოლ ერაყელ საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობენ ნაჯი იუსეფი და შეიხი ლატიფი, შედიან ერაყის საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები — აბდულა ჰორანი, სალვა მათი ზაკუ, ჰასან ყაზიმ ელ ნაჰრი, ისმაილ რაშიდი, ფარიდ ალ-აჰმარი, მაჰდი ჰამიდ ისმაილი, ჯამილ ალ-ქავაფი, მუსა ალ-შეიხ რადი, აბდულ განი მუთარი, მუდჰარ ფაჰმი ალ აზავი, ლუქმანი, მოლა ჯამილ როზბიანი, შაქირ ჯერაუ.

ხანგრძლივი საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის, ახლო და შუა აღმოსავლეთში თანამედროვე მდგომარეობის საკითხებს, აგრეთვე ერაყელი და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს.

ერაყელმა სტუმრებმა გაუზიარეს შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ და გამოთქვეს დიდი კმაყოფილება იმ მხურვალე მიღების გამო, რომელიც მათ საბჭოთა საზოგადოებრიობამ მოუწყო.

დელეგატებმა ნ. ს. ხრუშჩოვს ერაყელ მშვიდობის მომხრეთა სახელით გადასცეს ნიშანი „მშვიდობის ოქროს მტრედი“.

საუბარს დაესწრნენ უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი, არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ა. ფ. სულთანოვი.

26 ნოემბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დილის 10 საათზე მოწვეულია საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციის დელეგატების აღრიცხვა იწარმოებს 25 ნოემბერს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში (ვოლოდარსკის ქ. № 3, ტელ. 3-90-07).

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობა.

# საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ახალი პატრიოტული მოძრაობის შესახებ — შექმნან კომუნისტური შრომის ბრიგადები და მოაწყონ მათი შეჯიბრება.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ახალი შესანიშნავი ინიციატივა — კომუნისტური შრომის ბრიგადები წარმოიშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის წინ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ — თეზისების განხილვის მსვლელობაში.

კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადები წარმოიშვა მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მოსკოვის მახარისხებელი დეპოს თბომავალსარემონტო საამქროს ახალგაზრდულ კოლექტივში, სადაც 1919 წელს მოეწყო პირველი კომუნისტური შაბათობა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „დიადი თაოსნობა“ უწოდა. ეს ბრიგადები წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების დადებითი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე და წარმოადგენს მის შემდგომ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ახალ ისტორიულ ეტაპზე.

ახალგაზრდობის შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობა ნათლად გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის მისწრაფებას იყოს პარტიის მიერ დასახული მაღალი ამოცანების დონეზე, ღირსეული პირადი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის აშენების საერთო სახალხო საქმეში, აღიზარდოს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ნიშანთვისებებით.

### საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ახალ პატრიოტულ მოძრაობას — შექმნან კომუნისტური შრომის ბრიგადები და მოაწყონ მათი შეჯიბრება

კომუნისტური შრომის ბრიგადების შესაქმნელად ახალ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი ათასობით ახალგაზრდულმა კოლექტივმა.

კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელწოდების უფლების მოსაპოვებლად ახალგაზრდა მუშათა შეჯიბრებას ყველგან საფუძვლად უდებენ იმ ამოცანებს, რომ ყოველი ღონისძიებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ტექნიკის ათვისების ბაზაზე. ახალგაზრდა მუშები ვალდებულებას კისრულობენ სრულად გამოიყენონ ყოველივე ახალი, რაც დაკავშირებულია მათ სპეციალობასთან, გაუწიონ დახმარება ამხანაგებს მუშაობაში. ბრიგადების კომუნისტურ ვალდებულებებში შემუშავებულია წარმოების რაციონალიზაციის საკითხები, მუშათა ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების კონკრეტული გეგმები.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა მისწრაფება ცოდნისადმი, სწავლისადმი წარმოებას მოუწყვეტლივ, ისე რომ ამ ცოდნამ სარგებლობა მოუტანოს არა მარტო თვითონ მათ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, წარმოებას, ამხანაგებს.

ახალგაზრდული კოლექტივების კომუნისტური ვალდებულებანი გამსჭვალულია თითოეული მათი წევრის მისწრაფებით — გახდეს განათლებული, წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში კულტურული ახალი საბჭოთა ადამიანის ნიმუში. ვალდებულებანი შეიცავენ მოთხოვნებს კოლექტივის ყოველი წევრისადმი — აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში.

ყველა ნაკისრი კომუნისტური ვალდებულება მოწმობს, რომ ახალგაზრდა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებსა და სპეციალისტებს ღრმად აქვთ შეგნებული დიადი ლენინური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შრომას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კომკავშირული ორგანიზაციების ახალგაზრდული კოლექტივების პატრიოტული თაოსნობა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისა და მათი შეჯიბრების გაშლის შესახებ და დაავალა კომკავშირის კომიტეტებს ფართოდ დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ ეს ძვირფასი თაოსნობა. მრეწველობის საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში, სისტემატურად გაუწიონ ახალგაზრდულ კოლექტივებს საჭირო დახმარება მათ მიერ ნაკისრ კომუნისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ კომკავშირული კომიტეტები კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას მიანიჭებენ ახალგაზრდულ კოლექტივებს, რომელნიც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ ნაკისრ კომუნისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

გაითვალისწინა რა, რომ მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მოსკოვის მახარისხებელი დეპოს საამქროს კომკავშირულმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა წარმატებით განახორციელა ნაკისრი მაღალი ვალდებულებანი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ საამქროს მიანიჭა კომუნისტური შრომის საამქროს წოდება.

დადგენილებაში აღნიშნულია დიდი დადებითი მუშაობა, რომელსაც გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ ეწევა ძვირფასი თაოსნობის გასავრცელებლად. კომკავშირული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს წინადადება მიეცათ ფართოდ გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც აშუქებენ კომუნისტური შრომის ბრიგადების მუშაობის გამოცდილებას და იმას, თუ რა ხელმძღვანელობას უწევენ მათ კომკავშირის კომიტეტები.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის ინიციატორებს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, მშენებლებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს აქტიურად ჩაებან კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის მოძრაობაში, საბრძოლო შეჯიბრება გაშალონ პარტიის მომავალი XXI ყრილობის აღსანიშნავად, რათა წარმატებით შესრულდეს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რაც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ლენინური იდეების ცოცხალი განსახიერებაა.

# დაე მტკიცდებოდეს სწავლისა და შრომის კავშირი!

საქართველოს მშრომელები წარმატებით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახვედრად. სესიის წინადღეებში იწყობა საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებისა — „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება რედაქციაში შემოსული მკითხველთა წინადადებები. ასეთი მასალები კვლავაც სისტემატურად გამოქვეყნდება.

## შესანიშნავი გარდაქმნა

სახალხო განათლების ახალი სისტემის დროს სწავლება შეერთებული იქნება რვაწლიან სკოლაში ფართო პოლიტექნიკურ განათლებასთან, მეორე ეტაპის სკოლაში კი მწარმოებლურ შრომასთან. განსაკუთრებით მეორე ეტაპის სკოლებში მოსწავლეთა დროის ბიუჯეტის ერთი ნაწილი მოხმარდება მწარმოებლურ შრომას. ამიტომ მათი წარმატებით სწავლისათვის საჭიროა შეიქმნას ყოველმხრივ მოწესრიგებული სასწავლო პროცესი. სუსტია ახლანდელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პოლიტექნიკური სწავლების მატერიალური ბაზა.

სკოლის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების მიზნით დიდი მუშაობა იქნა გაწეული, განსაკუთრებით საშეფო დახმარების გზით. ზოგ სკოლაში მოეწყო კაბინეტები და სასწავლო სახელოსნოები. ამ მხრივ შედარებით უკეთესად გამოიყურება დედაქალაქის სკოლები. ზოგმა საშეფო ორგანიზაციამ ქმედითი დახმარება გაუწია სკოლას. მაგალითად, მანქანათმცოდნეობის სანიმუშო კაბინეტი მოუწყო ჩვენს სკოლას შეფმა ორგანიზაციამ — ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, მაგრამ ერთეული სკოლების ერთეული კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ პოლიტექნიკური სწავლების მტკიცე სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნას; ზოგჯერ საშეფო დახმარების გზით სკოლებში შეაქვთ მანქანა-დანადგარები, რომლებიც მეტად მოძველებულია და მოსწავლეს ვერ აძლევს ნათელ წარმოდგენას სამამულო ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე. საჭიროა, გარდა საშეფო დახმარებისა, გამოინახოს ეფექტიანი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნას.



მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში 1965 წელს გადიდდება 38-40 მილიონ კაცამდე 1958 წლის 30 მილიონ კაცთან შედარებით.

* * *

სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან პოლიტექნიკური სწავლების (სასწავლო სახელოსნოებში პრაქტიკული მეცადინეობა, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმები) კვალიფიციური მასწავლებლებით. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ აქამდე არ იყო მოთხოვნილება ასეთ კადრებზე. ამ საგნებს ხშირად ინჟინრები ასწავლიან, მაგრამ მათ არა აქვთ პედაგოგიური მუშაობის, ბავშვებთან სასწავლო მეცადინეობის ელემენტარული გამოცდილებაც კი. მათი მუშაობა დაყვანილია ან თეორიულ სწავლებამდე, ან კიდევ ხელოსნობამდე.

მრავალი დაპირების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოუგვარებელია პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განტვირთვის საკითხი. რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია ბევრს გვპირდება პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განტვირთვის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ეს დაპირებებად რჩება. ხშირად იცვლებიან სახელმძღვანელოების ავტორები, სახელმძღვანელოები და პროგრამები კი კვლავ გადატვირთული რჩება.

მასწავლებელთა კადრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, ბავშვთა სწავლება და აღზრდა ჯერ კიდევ მინდობილი აქვთ ისეთ პირებს, რომლებიც საკმაოდ არ არიან მომზადებული ამისათვის.

მასწავლებელთა ატესტაცია მაღალ პრინციპულ დონეზე უნდა ჩატარდეს. ეს კი ხელს შეუწყობს პედაგოგიური კადრების გაუმჯობესებას და, მაშასადამე, სასწავლო პროცესის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ყველა ზემოაღნიშნული და სხვა ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს სასკოლო ცხოვრებას, უნდა გამოსწორდეს გარდამავალ პერიოდში, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 4-5 წლის ხანგრძლივობით საზღვრავენ.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შექმნის წინაპირობას, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა შეიძინონ პროფესია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მწარმოებლურ შრომაში, მტკიცედ დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს, აღიზარდონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გახდნენ კომუნისტური საზოგადოების ღირსეული მშენებლები.

სკოლის გარდაქმნის ახალი ამოცანები დიდ მოვალეობას აკისრებს სკოლის პრაქტიკულ მუშაკებს, პედაგოგიურ კოლექტივებს. ჩვენი სკოლის პედაგოგები ერთსულოვნად იწონებენ თეზისებს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. მათ შეგნებული აქვთ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც ახალი ამოცანები სკოლას აკისრებს. ისინი ძალღონეს არ დაიშურებენ, რომ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე დაყენებას მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

**ნ. კიკვაძე,**
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი.

## ფიქრები აღზრდაზე

ორმოცდახუთი წელია, რაც საშუალო სკოლებში ფიზიკასა და მათემატიკას ვასწავლი. ამ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებას მუდმივად ვუკავშირებ სასკოლო სახელოსნოებში და კაბინეტებში მოსწავლეთა მუშაობას. მაგრამ ჩემი მრავალი წლის პედაგოგიური გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ყოველივე ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. ცალმხრივობა და ერთგვარი აბსტრაქტულობა მაინც დარჩა სწავლებაში. მომწიფდა დრო, რათა გარდაიქმნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რათა სწავლება შეუერთდეს მწარმოებლურ, სასარგებლო შრომას.

მასწავლებელთა, აღმზრდელთა წინაშე ახლა ფრიად პასუხსაგები ამოცანები და დიდებული პერსპექტივები იხსნება. ჩვენ მთელი ძალები, პედაგოგიური გამოცდილება და უნარი უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ახალგაზრდები მოვამზადოთ სასარგებლო შრომისათვის, აღვზარდოთ მათგან კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

**ნინო ხათრიძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.
ქ. ქუთაისი.

* * *

...მე მგონია კარგი იქნება, თუ სკოლები გაითვალისწინებენ რაიონის სპეციფიკურ თავისებურებებს და ბავშვებს შეასწავლიან მეურნეობის იმ დარგების საფუძვლებს, რომლებიც მოცემულ რაიონში თუ ქალაქში გვხვდება. კარგი იქნება, რომ ტყიბულისა და ქვანახშირის საბადოთა სხვა რაიონებში სამთო საქმის ზოგად სწავლებას შემოიღებდნენ. მეტად სასარგებლო იქნება ზოგიერთი მეცადინეობის უშუალოდ წარმოებაში — ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში, შახტის საამქროში მოწყობა.

**ა. გიორგაძე,**
მეშახტე, პენსიონერი.
ტყიბული.

* * *

...დროული და საჭიროა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შეიქმნას ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობის განყოფილება, რომელიც მოამზადებს ინჟინერ-ეკონომისტებს მანქანათმშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციის და დაგეგმვის პროფილით, რათა მომავალ ინჟინერს შეეძლოს ეკონომიკის თვალსაზრისითაც შეაფასოს ესა თუ ის ტექნიკური პროცესი.

**გ. კელენჯერიძე,**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



მოსკოვის არქიტექტურულ-სამშენებლო საბჭომ მოიწონა პროექტი თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლის შენობისა 1.000 მოსწავლისათვის. ახალი სკოლის პროექტში გათვალისწინებულია, რომ ბავშვების სწავლება იწარმოებს ორ ეტაპად: პირველიდან მერვე კლასამდე და მეცხრიდან მეთერთმეტემდე. საკლასო ოთახებს გარდა სკოლას ექნება სასწავლო სახელოსნოები, საგნობრივი კაბინეტები, ოთახი მეოჯახეობაში მეცადინეობისათვის, სააქტო და ფიზკულტურული დარბაზები, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზებით, სახადილო, სტადიონი, ასტრონომიული მოედანი, საცდელი ნაკვეთები. სკოლის შენობის აგება მოსკოვში მომავალ წელს დაიწყება. ახეთივე სკოლების ნავარაუდევია აშენდეს სხვა ქალაქებშიც. სურათზე: სკოლის შენობის მაკეტი.

ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სკოლა და წარმოება

განათლების არსებული სისტემის სერიოზულ ნაკლოვანებებს განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობთ ჩვენ, მრეწველობის პრაქტიკული მუშაკები.

ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც საშუალო სკოლებს ამთავრებენ და წარმოებაში მოდიან, არავითარი საწარმოო ჩვევები არა აქვთ.

სახალხო განათლების დასახული გარდაქმნა შესაძლებლობას მისცემს სასწავლებლებს სამრეწველო საწარმოებთან ერთად მოამზადონ კომუნიზმის კვალიფიციური, შეგნებული, კულტურული მშენებლები. ამიტომ ეს ღონისძიება საყოველთაო მოწონებას პოულობს.

ამ ღონისძიების განხორციელება სერიოზულ ამოცანებს აკისრებს სამრეწველო-საწარმოებსაც. ჩვენი ქარხნის აქტივის თათბირზე განვიხილეთ ამასთან დაკავშირებული საკითხები და მთელი რიგი ღონისძიებები დავსახეთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭიროა გამოიყოს განსაკუთრებული უბნები, რომლებიც აღჭურვილი იქნება ქარხნის ძირითადი პროგრამის სხვადასხვა სირთულის დეტალების დასამუშავებელი უნივერსალური მოწყობილობის კომპლექსით. საჭიროა მოსწავლეები ხედავდნენ, რომ თავიანთი შრომით უშუალოდ მონაწილეობენ ქარხნის პროდუქციის გამოშვებაში და სახელმწიფო გეგმის შესრულების მონაწილენი არიან.

უბნის მოწყობილობის ნომენკლატურა და იქ დამუშავებული დეტალები უნდა უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პროფესიის მუშების მომზადებას, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო პროფესიები აირჩიონ. უბანზე საწარმოო სწავლების ინსტრუქტორებად საჭიროა გამოიყონ კადრის გამოცდილი მუშები, რომლებსაც უნდა შეეძლოთ არა მარტო მუშაობის მოწინავე ხერხები ასწავლონ, არამედ აგრეთვე შრომის სიყვარული.

ჩვენ ვაპირებთ ასეთი უბანი მოვაწყოთ იმ შენობაში, რომელიც ამჟამად ფართო მოხმარების ნაკეთობათა საამქროს უჭირავს და რომლის ფართობი 350-400 კვადრატული მეტრია. ამ უბანზე დაიდგმება 15-20 ჩარხი, მათ შორის სახარატო, სალარავი, შიგსაჩარხი, სახეხი, საბურღი, სალესი და სხვა ჩარხები. განზრახულია გადაეცეს იქ „163“ მოდელის ჩარხისა და ქარხნის მიერ გამოსაშვები სხვა ჩარხების 45-50 დასახელების სხვადასხვა სირთულის დეტალები. იქვე შესრულდება საზეინკლო-საამწყობო სამუშაოები.

უბანზე ერთდროულად შეიძლება დაიტვირთოს სამუშაოთი 45-50 მოსწავლე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსწავლეები შემცირებული ცვლის რეჟიმით იმუშავებენ, დღის განმავლობაში უბანზე მუშაობას მოსწავლეთა ორი ცვლაც კი შეძლებს, ე. ი. წარმოებაში მომუშავე მოსწავლეთა რაოდენობა შეიძლება აყვანილ იქნას 90-100 კაცამდე.

ჩვენი წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქარხანას საწარმოო სწავლებისათვის მოემაგრონ ქარხნის ახლოს მდებარე სკოლების მოსწავლენი, მეტწილად ვაჟები.

მოსწავლეთა წარმატებით საწარმოო სწავლების საქმეში დიდმნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია სკო- ლების პოლიტექნიზაცი- გაუმჯობესება. საჭირო რომ სასკოლო სახელოსნოებს სრულ- ფილი მანქანები და ინსტრუმენტი ჰქო- დეთ, რომ სასწავლო გეგმებში მეტი ყ- რადღება ეთმობოდეს ისეთ საგნებს, რ- გორიც არის ხაზვა, ელექტროტექნ- ლითონმცოდნეობა და სხვ. საჭიროა, რ- სკოლების ხელმძღვანელები და პედაგ- გები უფრო ხშირად მოდიოდნენ ქარხ- ნაში, იცოდნენ, რა ამოცანები დგას რა სიძნელეებია ქარხნის წინაშე, იყ- იმის კურსში, თუ როგორ იქცევიან, რ- გორ მუშაობენ მოსწავლენი წარმოებაშ- და რა წარმატებები აქვთ.

მუშა ახალგაზრდობის სკოლების ქ- ლის მნიშვნელოვან გადიდებასთან ე- თად საჭიროა გავაუმჯობესოთ ამ ს- ლებში სწავლების ხარისხი, მივუა- ლოოთ ისინი წარმოებას.

ჩვენთვის სავსებით ცხადია, რ- ცხოვრებასთან სკოლის კავშირის გ- მტკიცება და ჩვენს ქვეყანაში სახალ- განათლების სისტემის შემდგომი განვ- თარება ძირითადად დამოკიდებულ- ამ ამოცანის განხორციელებისათვ- სწორად და დროულად მომზადებაზე.

ამავე დროს საჭიროა სახალხო მ- ურნეობის საბჭომ და მანქანათმშენ- ბლო და ელექტროტექნიკური მრეწ- ლობის სამმართველომ დახმარება გ- გვიწიონ დასახულ ღონისძიებათა შ- სრულებაში. უწინარეს ყოვლისა საჭ- რომ განხორციელდეს მცირე მალის შ- შენება № 3 კორპუსზე ნამზადის ქრობა და ფართო მოხმარების საგნებ- უბნისათვის. ეს შესაძლებლობას მოგ- ცემს გავათავისუფლოთ შენობა, რომ- ლიც ამჟამად ფართო მოხმარების საგნ- ბის საამქროს უჭირავს, რათა მოეწყ- იქ უბანი მოსწავლეთა საწარმოო სწა- ლებისათვის. აგრეთვე უნდა გამოიყ- ფონდები ამ უბნისათვის საჭირო მოწყ- ბილობის შესაძენად, სამმართველო- წარდგენილი სპეციფიკაციის თანახმა-

კიროვის სახელობის ქარხნის მუშ- და სპეციალისტები გააკეთებენ ყვე- ფერს, რაც კი საჭიროა სკოლისა და რმოების მჭიდრო კავშირისათვის.

**ნ. კიზივაძე,**
თბილისის კიროვის სახელობი- ჩარხსამშენებლო ქარხნის დირექ- ტორი.



საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 1959-1965 წლებში მიღებული იქნება 4 მლნ. კაცი, მათ შორის წარმოებას მოუწყვეტლივ მოსწავლენი.



1959-1965 წლებში უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოშვებული იქნება 2 მილიონ 300 ათასი სპეციალისტი, ნაცვლად 1 მილიონ 700 ათასი კაცისა 1952-1958 წლებში, ესე იგი, 1,4-ჯერ მეტი. ამასთან ინჟინრები მრეწველობისათვის, მშენებლობისათვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის მომზადდება 1,9-ჯერ მეტი, ხოლო სოფლის მეურნეობის სპეციალისტები 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდწლედში.

## მაღალკვალიფიციური კადრები სოფელს

როგორც პრესაში გამოქვეყნებული და კერძოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრაქტიკაში არსებული დამახასიათებელი ფაქტები მოწმობენ, ჩვენი საშუალო და უმაღლესი სკოლების მთავარი, ძირეული ნაკლია მათი მოწყვეტა ცხოვრებისაგან.

მისასალმებელი და აუცილებელია იმ ღონისძიებათა გატარება, რაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებშია ჩამოყალიბებული, კერძოდ საშუალო განათლების ორ ეტაპად გაყოფა და მეორე ეტაპზე მოსწავლეთა სპეციალური პროფესიული სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიების გატარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას რესპუბლიკებისა და რაიონების თავისებურებებიც.

ვფიქრობთ, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისათვის კარგ შედეგს გამოიღებს კოლმეურნე ახალგაზრდობის საღამოს სკოლების გახსნა, მებაღეობისა და მევენახეობის, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის, ტრაქტორისტებისა და კომბაინერების (მექანიზაციის), მშენებლობის, მეტყევეობის, მემინდვრეობის სკოლების ან ტექნიკუმების ფართო ქსელის შემოღება, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სათანადო საწარმოო ბაზით, სადაც ახალგაზრდობა თეორიულ სწავლასთან ერთად ჩაბმული იქნება ფიზიკურ შრომაში, ან შესაძლებელია ასეთი სკოლებისა და ტექნიკუმების გახსნა მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

დასამალავი არ არის, რომ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სპეციალური სკოლების არასწორი განლაგების შედეგად ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, დმანისის, წალკის, მარნეულის, თიანეთის, დუშეთის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის, ხულოს და ზოგიერთ სხვა რაიონებში განვიცდით არათუ უმაღლესი, არამედ საშუალო განათლების მქონე ადგილობრივი სპეციალისტების ნაკლებობას, მაშინ როცა ასეთი კადრები ზოგიერთ რაიონში, შეიძლება ითქვას, ჭარბი რაოდენობით არიან და ხშირად წარმოებაში არ მუშაობენ. საჭირო იქნება განათლების სისტემის გარდაქმნის დროს გავითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული რაიონების თავისებურებანი და სპეციალური სკოლები ჩამოყალიბდეს რაიონის პროფილის მიხედვით.

ამასთან ერთად დღის წესრიგში დგება საკითხი სკოლების გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი ცენტრის ორგანიზაციის შესახებ. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება სკოლები 8-წლედის ფარგლებში ექვემდებარებოდეს განათლების სამინისტროს, ხოლო მეორე ეტაპზე, რომელიც დამთავრებულ საშუალო განათლებას იძლევა — შესაბამის სამინისტროებს, ტრესტებს ან სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ყურადღების ღირსია იმ ღონისძიებათა მოფიქრებული განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლისა და შრომის კავშირს, მათი ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებელთა კადრების შერჩევას, ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოწყობას, მოსწავლეთა შრომის ორგანიზაციას, აღრიცხვასა და ანაზღაურებას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და სხვ.

საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელება თავის მხრივ მოითხოვს უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც ურთიერთგანპირობებულია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, განხორციელდა სასწავლო დარბაზებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების კეთილმოწყობა. კაბინეტები და ლაბორატორიები ახალი ხელსაწყოებითა და აპარატურით შეივსო. დიდი სამუშაოები შესრულდა საწარმოო ბაზების (მუხრანი, დიღომი) სასწავლო მეურნეობების შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტუდენტთა თეორიული მომზადების დაკავშირებას წარმოებასთან.

აღსანიშნავია, რომ წელს მუხრანისა და დიღმის სასწავლო მეურნეობებში სტუდენტთა შრომით შესრულდა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო 220 ჰექტარი ვენახის, 105 ჰექტარი ხეხილის, 103 ჰექტარი მემინდვრეობის კულტურების დასამუშავებლად და სანიმუშო მოსავალიც მიიღეს. საშუალოდ ჰექტარზე მოიკრიფა 80 ცენტნერი ყურძენი, 60 ცენტნერი ხილი, ხოლო საფურაჟე ძროხის საშუალო წლიურმა წველადობამ 2.000 ლიტრს გადააჭარბა. მეურნეობებში საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შედეგად მარტო 1957 წელს მიღებულ იქნა 2,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

800-მდე სტუდენტი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გადის მუხრანისა და დიღმის სასწავლო მეურნეობებში. იქ მათ აიღეს ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი და ამჟამად ამუშავებენ ხეხილისა და ვენახის პლანტაციებს. სტუდენტთა სწავლისა და შრომის ასეთი ორგანიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა მეურნეობებში მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა მუდმივი და სეზონური მუშების რიცხვი. ინსტიტუტის 500-ზე მეტმა სტუდენტმა საწარმოო პრაქტიკა გაიარა ყუსტანაის ოლქში და მოსავალს იღებდა ყამირ და ნასვენ მიწებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კარგ თეორიულ მომზადებასთან ერთად სტუდენტთა შრომითი მონაწილეობა საწარმოო პროცესების შესრულებაში არ ამცირებს სპეციალისტის მომზადების ხარისხს, პირიქით, ხელს უწყობს თეორიის კავშირს პრაქტიკასთან, ამაღლებს ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების დონეს.

მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს და ადგილი არ ჰქონდეს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრმა ახალგაზრდამ, რომლებიც ინსტიტუტს ამთავრებენ, ცუდად იცის საქმის პრაქტიკა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ვ. წულგიძემ, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ გაიგზავნა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის კოლმეურნეობაში, თავი ვერ გაართვა საქმეს და სამუშაოდან მოიხსნა. ასეთივე ბედი ეწია მექანიზატორ ლ. ღულუნიშვილს, ხოლო ინჟინერ-მექანიზატორებმა ო. ქორიძემ, ი. ქურდოვანიძემ, ა. ლონგიშვილმა და სხვებმა უარი განაცხადეს სამუშაოდ წასვლაზე.

არც ისე იშვიათია ცოდნის დაბალი დონის მქონე სპეციალისტის გამოშვების შემთხვევები.

ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ უმაღლეს სასწავლებელში შემომსვლელ ახალგაზრდობას არა აქვს ცხოვრების გამოცდილება.

უთუოდ საჭიროა ინსტიტუტში შესვლამდე ყველა ახალგაზრდამ იმუშაოს წარმოებაში 2-3 წელი. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში კი ძირითადად მიღებულ უნდა იქნან ის ახალგაზრდები, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სკოლები ან ტექნიკუმები დაამთავრეს და შემდეგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში მიიღეს საწარმოო სტაჟი. დაგმობილ უნდა იქნას ახლანდელი პრაქტიკა, როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღებულთა შორის ყველაზე მეტი რაოდენობით არიან მუშა-მოსამსახურეთა შვილები და ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც დამთავრების შემდეგ თავს არიდებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ წასვლას. კარგი იქნება ისეთი წესის შემოღებაც, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს უფლება მიეცეთ თვითონ მიავლინონ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში ის ახალგაზრდები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სწავლასა და შრომაში.

მისასალმებელია თეზისებში დასახული ღონისძიება, რომ მეტ წილ უმაღლეს სასწავლებლებში პირველ 2-3 წელს სწავლა მოეწყოს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამასთანავე კარგი იქნება, თუ გაფართოვდება დაუსწრებელი სწავლების ქსელი. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის ასეთი ქსელის შექმნა შეიძლება თელავში, გორში, სტალინირში, სამტრედიაში, მახარაძეში, ბათუმსა და სოხუმში.

სპეციალისტთა კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მძლავრი სანიმუშო სასწავლო მეურნეობის მოწყობას. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ასეთი ბაზა აქვს . დიღმის და მუხრანის მეურნეობების სახით. ახლა მთავარია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა პროცესი აღნიშნულ მეურნეობებში სტუდენტებმა შეასრულონ. როგორც მიმდინარე წლის გამოცდილება გვიჩვენებს, ამის განხორციელება სავსებით შესაძლებელია. ამასთანავე გადაუდებლად ისმება საკითხი ქალაქ თბილისიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის მეურნეობაში გადატანის შესახებ, რაც დაჩქარებით უნდა გადაწყდეს. მეურნეობა სტუდენტთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფილია, მხოლოდ საჭიროა სასწავლო კორპუსების და ლაბორატორიების აშენება.

დღის წესრიგში დგება საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე დიღომში, სხვა მოძმე რესპუბლიკების ანალოგიურად შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო სასწავლო აკადემია. ეს გამართლებულია იმითაც, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ჰყავს უმაღლესი კვალიფიკაციის ლექტორთა კადრები აკადემიკოსების, პროფესორების და სხვ. სახით. ასევე მიზანშეწონილი იქნება ინსტიტუტთან მოეწყოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტი, ასე რომ უახლოეს მომავალში ინსტიტუტი მთლიანად უნდა მოეწყოს დიღმის სასწავლო მეურნეობის ბა- ზაზე და შეიქმნას მთელი აგროქალ-

მაღალკვალიფიციური სპეციალის- ბის აღზრდის საქმეში გადამწყვ- მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა წარმოო პრაქტიკის სწორად დაყენ- საწარმოო პრაქტიკის ამჟამად არსებ- წესი მთლიანად ვერ უპასუხებს სპე- ალისტთა მომზადების ხარისხის გაუმ- ბესების საქმეს. დაგმობილ უნდა იქ- ისეთი მდგომარეობა, როცა სტუდენ- ბი დიდ ჯგუფებად იმყოფებიან საწ- მოო პრაქტიკის ობიექტებზე, მაგ- ჩართული არ არიან წარმოების პრო- ში და მათი პრაქტიკა ძირითადად ეგრ- წოდებული ექსკურსიის ხასიათს ა- რებს. ვითვალისწინებთ შემდგომში მოვაწყოთ საქმე, რომ საწარმოო პრ- ტიკაზე სტუდენტები იგზავნებოდნენ ვიანთი სპეციალობის მიხედვით, ირ- ხებოდნენ წარმოების მუშების შტა- და პრაქტიკულ მონაწილეობას იღ- ნენ სამუშაო პროცესებში, რისთვი- მიეცემათ ანაზღაურება. ამავე დროს და გაიზარდოს საწარმო-დაწესებულ- თა ხელმძღვანელების პასუხისმგებლ- საწარმოო პრაქტიკის კარგად მოწყ- საქმეში.

სოფლის მეურნეობის მაღალკვალი- ციური კადრების მომზადება ინსტ- ტის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

**პროფესორი გ. ჯანჩაველი,**
საქართველოს სასოფლო-სამეურ- ნეო ინსტიტუტის დირექტორი მოადგილე სასწავლო ნაწილში;

**დოცენტი ი. ჩხარტიშვილი,**
**დოცენტი ა. ნარჩომაშვილი,**
ინსტიტუტის პარტიული კომი- ტეტის წევრები.

## მცხეთელების თაოსნობა

# მწვანე ნარგავების ხეივნებით დავამშვენოთ ჩვენი რესპუბლიკის გზატკეცილები

### აი რით პასუხობენ წითელწყაროელთა პატრიოტულ მოწოდებას

ბუნების სიმშვენიერით განთქმულ ჩვენს რესპუბლიკას არა ერთი უცხო და ჩვენთვის მახლობელი მოგზაური მოუხიბლავს თავისი სიკეკლუცით და სილამაზით, მარად მწვანე ნარგავებში ჩაფლული ქალაქებითა და სოფლებით. ყოველივე ეს გვახარებს და პატრიოტული სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს გულებს.

სამწუხაროდ, ბევრგან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების გასწვრივ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ძალზე იგრძნობა თავმინებებულობა, კეთილმოწყობილი გზატკეცილების გასწვრივ ზოგან ეულ ნარგავებსაც ვერ შეხვდებით, ეს მაშინ, როცა საკმარისია გადაუხვიოთ გზის მარჯვნივ ან მარცხნივ და უმალ მოხვდეთ მწვანე ნარგავებით დამშვენებულ ხეივნებში.

ამ დღეებში, როდესაც ვიხილავდით სკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს და ვსახავდით ჩვენი რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების პერსპექტულ გეგმებს, დავინტერესდით ამ საქმითაც. უწინარეს ყოვლისა, ჩვენს წინაშე მთელი სერიოზულობით დადგა საკითხი ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მდებარე რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილის კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების ხეივნებით მისი დამშვენების შესახებ.

მართლაც, ნატახტარიდან დაწყებული 15 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ქსნამდე, გზის ორივე მხარე ისე გამოიყურება, თითქოს გზატკეცილი ტრამალებში გადიოდეს. ამიტომ, წითელწყაროელთა მაგალითისამებრ, გადავწყვიტეთ პირველ რიგში დაგვეწყო ზემოთ აღნიშნული გზატკეცილის არა უბრალოდ გატყევება, არამედ მის გასწვრივ ორივე მხარეს 15 კილომეტრის მანძილზე მწვანე ნარგავების ხეივნების მოწყობისათვის საფუძვლის ჩაყრა.

ამ მიზნით ვიკისრეთ:

1. თბილის-ქუთაისის გზატკეცილის გასწვრივ ორივე მხარეს, იმ უბნებზე, რომლებიც ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე გადის, გავაშენოთ მწვანე ნარგავები და გავატყევოთ გზის ნაპირები რამდენიმე მეტრის სიგანეზე.

2. ამ დიდი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რაიონის კოლმეურნეობები, დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

3. გზატკეცილის გასწვრივ ხეივნების გასაშენებლად გამოვიყენოთ ნაყოფმომცემი ხეხილი: ატამი, ჭერამი, გარგარი, ვაშლი, ნუში, კომში, ქლიავი, პანტა და დეკორაციული მცენარეები, რომელთა ნერგები უკვე დამზადებული გვაქვს.

4. აღნიშნული გზატკეცილის გარდა, მწვანე ნარგავების ხეივნები მოვაწყოთ მისი განშტოების ყველა გზებზე, რომლებიც გზატკეცილთან აკავშირებენ ჩვენი რაიონის სოფლებსა და მეურნეობებს.

5. გზატკეცილის გასწვრივ გატყევების მთელი სამუშაო დავამთავროთ მიმდინარე წელს. ხოლო მომავალი წლის გაზაფხულზე ჩავატაროთ მისი რემონტი, თუ ამის საჭიროება იქნება.

6. სანიმუშოდ მოვაწყოთ გაშენებული ნარგავების მოვლა-პატრონობა და მისი დაცვა, უზრუნველვყოთ, რომ ეს ნარგავები მომავალი შვიდწლედის ბოლოსათვის მართლაც გადაიქცნენ გზატკეცილის ხეივნებად.

7. ვგრძნობთ რა ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მთელ სერიოზულობას, პირობას ვდებთ უნარიანად გამოვიყენოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული შესაძლებლობანი, ამ ღონისძიებათა განხორციელებაში ჩავაბათ რაიონის მთელი აქტივი, კომუნისტური შრომის მოწინავე ადამიანები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ვალდებულებათა აღებით და პირნათლად განხორციელებით ერთგვარ წვლილს შევიტანთ ბუნების სიმდიდრეთა გამრავლებისა და უტყეო, გამოუყენებელი ადგილების წალკოტად ქცევის საქმეში.

21 ნოემბრიდან უკვე შევუდექით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. გზატკეცილის ორივე ნაპირის გამწვანების სამუშაოთა ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ამ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურებიან ჩვენი მეზობელი კასპის რაიონის მშრომელები, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სოფლებისა და კოლმეურნეობების ათასობით მშრომელები, ისინიც თავიანთ მხრივ იკისრებენ კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა მათ ტერიტორიაზე გამავალი გზატკეცილის ორივე ნაპირები დაამშვენონ მწვანე ნარგავების ხეივნებით.

საერთო ღონისძიებებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოესი მომავლისათვის თბილის-ქუთაისის გზატკეცილი გადავაქციოთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს კეთილმოწყობილ საგზაო მაგისტრალად.

**გ. სეხნიაშვილი** — საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი, **ზ. მირზიაშვილი** — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **მ. დალაქიშვილი** — მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, **ბ. ხატიაშვილი** — მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ი. ბურჯალიანი** — ძველი ქანდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ლ. ასლანიშვილი** — ჩარდახის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. ბარამიძე** — მუხრანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ი. რუხაძე** — კომკავშირის მცხეთის რაიკომის მდივანი, **გ. კეკელიძე** — რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი, **ი. შარაშიძე** — წყალთა სასისტემო სამმართველოს დირექტორი, **ა. კაჭარავა** — სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორი, **ს. თოხვაძე** — სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი, **ნ. ბახტაძე** — ნატახტარ-ბულაჩაურის წყალსადენის დირექტორი.

---

**მსოფლიო სოციალისტური სისტემის აბსოლუტური უპირატესობა**

**ჟენევაში დისკუსია გრძელდება**

**საირუს იტონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ**

## საბჭოთა კავშირის გრანდიოზული ნაბიჯი კომუნიზმისაკენ

**პეკინი.** (საკდესი). ჩინეთის პრესა კვლავ კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

აფასებს რა თეზისებში მოყვანილ სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული განვითარების საკონტროლო ციფრებს, როგორც კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, ჩინეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „შიძე ჯიში“ წერს, რომ თეზისები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირში დაიწყო სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ახალი ისტორიული პერიოდი. ახასიათებს რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას მომავალ შვიდწლედში, ჟურნალი აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოება 1965 წელს შეადგენს მსოფლიო დონის ნახევარზე მეტს. ამ მოკლე ვადაში, წერს „შიძე ჯიში“, მატერიალური წარმოების დარგში მსოფლიო სოციალისტური სისტემა აბსოლუტურ უპირატესობას მიიღებს კაპიტალიზმის წინაშე.

ეს დიადი გეგმა, რომელიც აღაფრთოვანებს ადამიანთა გულს, აღნიშნავს ჟურნალი, საბჭოთა კავშირის გრანდიოზული ნაბიჯია წინ კომუნიზმისაკენ.

კომუნისტური მშენებლობის ამ დიადი პროგრამის გამოქვეყნებამ, წერს დასასრულ ჟურნალი, აღაფრთოვანა სოციალისტური ქვეყნების ხალხები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად. ამავე დროს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა განამტკიცა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთა რწმენა მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

## ექსპერტთა თათბირი

### უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხზე

**ჟენევა,** 21 ნოემბერი. (საკდესი). უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხზე თათბირის მონაწილე ექსპერტთა დღევანდელ მორიგ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

როგორც დასავლეთის დელეგაციებთან ახლომდგომი წრეებიდან ცნობილი გახდა, დღევანდელ სხდომაზე გაიმართა აზრთა გაზიარება რეკომენდაციების საბჭოთა პროექტზე. პროექტი ეხება იმას, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება — არ დაუშვან ატომური და წყალბადის იარაღით აღჭურვილი თავიანთი თვითმფრინავების ფრენა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე და გაშლილ ზღვაში. დისკუსიის მსვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გააკეთა ბუნდოვანი განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის მოქმედებისა და მიზნების შესახებ, ამასთან ცდილობდა გვერდი აეხვია პირდაპირი განცხადებისათვის ამერიკის იმ თვითმფრინავების ფრენის შესახებ, რომელთაც აქვთ ატომგული იარაღი. მაგრამ, შემდეგ უპასუხა რა კითხვებზე, იგი იძულებული გახდა ბოლოს და ბოლოს ეღიარებინა, რომ ამერიკის ბომბდამშენები მართლაც დაფრინავენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მათ შორის ევროპაშიც, ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთულნი.

## რეაქციონერთა გამოხდომა ციურიხში

**ჟენევა,** 21 ნოემბერი. (საკდესი). „შვეიცარია-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ დასახა 20-22 ნოემბერს ქალაქ ციურიხის სახალხო სახლში მოეწყოს გამოფენა, მიძღვნილი კულტურის განვითარებისადმი საბჭოთა კავშირში. მაგრამ ეს იდეა არ მოეწონა ზოგიერთ რეაქციულ წრეს, რომლებმაც როგორც ჩანს, საშიშად ჩათვალეს საბჭოთა კულტურის წარმატებათა დემონსტრაცია.

ახალი ანტისაბჭოთა გამოსვლის ინიციატორია თავისი რეაქციულობით ცნობილი შვეიცარიული გაზეთი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“. შანტაჟისა და მუქარის დახმარებით რეაქციონერებმა აიძულეს სახალხო სახლის ხელმძღვანელობა უარი ეთქვათ „შვეიცარია-სსრ კავშირის“ საზოგადოებისათვის შენობის მიცემაზე გამოფენის მოსაწყობად.

## საირუს იტონის განცხადება

**ოტავა,** 22 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელმა მრეწველმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა, რომელიც ტორონტოს ჩამოვიდა ზამთრის ბაზრობაზე, 20 ნოემბერს განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ხალხს სურს მშვიდობით იცხოვროს კომუნისტურ ქვეყნებთან. ამ აზრის დასამტკიცებლად მან დაიმოწმა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგარეო პოლიტიკის გადაჭრით დაგმობა გამოვლინდა რესპუბლიკელთა დიდი დამარცხებით არჩევნებში.

იტონმა შეერთებული შტატების მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი იწვევს ანტაგონიზმს მსოფლიოში, და თქვა, რომ სახელმწიფო მდივანი დალესი „გამოირჩევა სიძულვილისა და მტრობის წინასწარგანზრახული გაღვივებით“.

## ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა

„ცნობები უმუშევრობის შესახებ დამა... ...გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“, — ითვლება დაახლოებით ოთხი მილიონი უმუშევარი. 14 მუშიდან ერთს არა აქვს სამუშაო, ფიქრობენ, რომ ეს ციფრი გადიდდება შობის შემდეგ“.

ნახატი ჯ. მორჩაძისა.




ვინა თქვა: ამერიკაში
ზრდის ტემპი გაუარესდა —
ხომ ხედავთ უმუშევრობა
უკვე მიიჭრა მთვარესთან.

დაბლა ჩანს ცათამბჯენები,
დგას უოლ-სტრიტის ბანკირი,
უმუშევრობის სახმენად
განწირულივით გაჰყვირის:

— ჩვენი რაკეტა, ვერ იქნა,
ველარ დაეცა მთვარეზე.
იგი გზაშივე ფეთქდება
და ახალ ხერხებს დავეძებთ.

შენმა ზრდამ, შენმა სიმაღლემ
ეს საქმეც გამოაკეთა, —
აჰა, შეგეგდე მთვარეზე
ჩვენი ახალი რაკეტა.

ს. არლენელი.

## უცხოეთის ქრონიკა

◆ 18-დან 21 ნოემბრამდე საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფმა, რომელიც კაიროში ჩავიდა, რათა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კომპეტენტურ წარმომადგენლებთან შეათანხმოს ასუანის მაღალი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ შეთანხმების დეტალები და მომზადება, ინახულა კაშხალის მშენებლობის განზრახული ადგილი.

◆ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში აგრარული რეფორმის კანონის შესაბამისად აგრარული რეფორმის საქმეთა მინისტრმა მუსტაფა ჰამდუნმა გასცა განკარგულება 27 ყველაზე მსხვილი სირიელი მემამულის იმ მიწის საკუთრების კონფისკაციის შესახებ, რომელიც აღემატება მიწათმფლობელობის დადგენილ მაქსიმალურ ნორმებს. კონფისკებული მიწა განაწილდება უმიწაწყლო გლეხთა შორის.

◆ ერაყის რესპუბლიკის უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ერაყის ყოფილ პრემიერ-მინისტრს აჰმედ მუხთარ ბაბანს და სამუდამო პატიმრობა ყოფილ პრემიერ-მინისტრს თევფიკ სუვეიდის. მათ ბრალად ედებოდათ შეთქმულების მომზადება სირიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელება.

ერაყის ყოფილ ელჩს ეგვიპტეში და სირიაში აბდელ ჯალილ რავის მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა და ჩამოერთვა პოლიტიკური უფლებები ხუთი წლის ვადით.

◆ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი არმიის სარდლობის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ 20 ნოემბერს საღამოს ისრაელის შეიარაღებულმა რაზმმა გადალახა მდინარე იორდანე, შეიჭრა სირიის ტერიტორიაზე და სროლა აუტეხა სოფელ ჯალაბინას. სირიის მესაზღვრე საგუშაგოს, რომელიც იძულებული გახდა საპასუხო სროლა აეტეხა, ტყვიამფრქვევი დაუშინეს ისრაელის გამაგრებული პოზიციებიდან.

---

# ბრუნავენ დოლაბები

**ნარკვევი**



წისქვილი...

ამ სიტყვის გაგონებისთანავე ბევრს ალბათ თვალწინ დაუდგება საცალფეხო ბილიკებით დასერილი ჭალა, ტალახიანი საურმე გზა, ღელე, რომელიც ტირიფებისა და თხმელების ბუჩქებს შორის მიიკლაკნება, მეწისქვილე — ფქვილით შეფიფქული კეთილი მოხუცი. სოხანეზე დანთებული ცეცხლი, ცეცხლისპირს კუნძზე ჩამომსხდარი გლეხები...

დაახლოებით ასეთია საქართველოში წისქვილების დიდი ნაწილი დღემდე. ასეთი იყო იგი სოფელ დაბლა გომშიც ამ რამდენიმე წლის წინათ. ხოლო ახლა სოფლის დიდ წისქვილში რომ მიხვიდეთ, ცოტა სხვანაირი შთაბეჭდილება დაგრჩებათ (დიდშიო, იმიტომ ვამბობთ, რომ პატარებიც შერჩა ღელეებს), იგი ელექტროძრავით მუშაობს და ამ ფაქტორს არსებითად შეუცვლია მისთვის სახე. ჭალაში კი არა, სოფლის ცენტრში დგას იგი. არც სიშორე და უგზოობა, არც საფქვავის კვირიდან კვირამდე ლოდინი. განუწყვეტლივ ბრუნავენ ვეება დოლაბები, მალიმალ ივსება და იცვლება ხვიმირები... წელიწადში იმდენი სიმინდი და ხორბალი შეიძლება დაიფქვას ამ წისქვილში, რომ არათუ დაბლა გომს, კიდევ ათ ამისთანა სოფელს ეყოფა სარჩოდ.

ახლა მეწისქვილეც იკითხეთ. თავაზიანად მოგეგებებათ შუახნის ჭაღარა კაცი დავით თევზაძე. თუმცა ენამზეობით არ გამოირჩევა, მაგრამ ერთი შეხედვითვე მიხვდებით, რომ იგი თქვენი გულღია მასპინძელია, ალალმართალი, კეთილი და ცოტა არ იყოს ცნობისმოყვარე. გომში აბა ვინ იქნება ისეთი, მეწისქვილე რომ არ იცნობდეს. ყველას ასავალ-დასავალი იცის, დიდით პატარამდე დაგიხასიათებთ თვითეულს. გეტყვით, ვინ რამდენი შრომადღე გამოიმუშავა, ვინ იზარმაცა და ვინ იმარჯვა, მოსავლისა და საერთო საკოლმეურნეო დოვლათის ამბავიც ბუღალტერსა და აღმრიცხველზე ნაკლებად როდი იცის მეწისქვილემ... სიმინდი ხომ მარცვალ-მარცვლად აქვს დათვლილი და გაანგარიშებული. ნატრობს: ნეტავ მის ხელში გაიაროს მთელმა მოსავალმა.

არა, წისქვილში არავინ შევა დავითისთვის უცხო და უცნობი. ათასში ერთხელ თუ ვინმე გამოერევა ასეთი, საფქვავისათვის მეზობელი სოფლიდან მოსული. მეწისქვილე მასაც მალე გაიშინაურებს. ჯერ სოფლისა და კოლმეურნეობის საერთო ამბებს გაიგებს. ძველ ნაცნობებს მოიკითხავს, მერე თავისას უამბობს და გაიმართება გულთბილი მასლაათი აქეთურ-იქითურზე.

ცნობისმოყვარე კაცია დავითი, მარტო თავისი სოფლის კი არა, მთელი ქვეყნის ამბები იცის, გაზეთი მუდამ აქვს გამოწერილი, შემოვა ვინმე ახალგაზრდა წისქვილში, მოისვამს გვერდით, ახალ გაზეთს მისცემს და ეტყვის:

— აბა ერთი ხმამაღლა წამიკითხე, ბიძიკო, თვალს გიჭრის.

არაფერი, ნურც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა არ გამორჩება დავითს მხედველობიდან. ხოლო მერე სხვებსაც აუწყებს და გააგებინებს და საკუთარ კომენტარებსაც დაურთავს. ამ მხრივ მას მგონი სოფლის ზოგიერთი აგიტატორი ვერ შეედრება.

— ხალხო! გაიგეთ ჩვენებს დედამიწის მესამე თანამგზავრი გაუშვიათ. ტონა და სამასიაო, კაცო! ეს ჩემი ოდასახლი მეტი კი არ გამოვა, ძმაო. რა შეუძლია კაცის გონებას. ჰა! მოდი და ამის შემდეგ გაიკვირვე რამე. ხვალ სერიოზულმა კაცმა რომ მითხრას, მთვარეზე მივემგზავრები და ხომ არ წამოხვალო, არც დავეჭვდები, ვითომ აგერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დავეპატიჟებინო მოსკოვში.

ამ დღეებში უნდა ნახოთ მეწისქვილე რა ამბავშია.

—წაიკითხეთ ახალი შვიდწლიანი გეგმის შესახებ? — ეკითხება იგი ყველას და აღტაცებას არ ფარავს, — აი გეგმაც ამაწა ქვია! საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახურავი ახლაც გვაქვს, მაგრამ ერთიორად მეტი რომ დახვავდება შენ მაშინ ნახე. საწყალი ბაბუაჩემი თურმე ერთ წყვილ ქალამანს კმარობდა წლიდან წლამდე. ჩვენ კი ისე გამოდის, წელიწადში ოთხ-ოთხი წყვილი ფეხსაცმელი მაინც უნდა დავცვითოთ. კაი ძალ-ღონე გვინდა მუხლებში. გარჯაც მეტი გვმართებს, ძმაო: ამბროსია გოგიშვილის ახალგაზრდული რგოლის წევრებმა წელს 60 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს ჰექტარზე და თავი დიდად მოაქვთ, ხუთი წლის შემდეგ კი ამდენს ვერ დაგვაჯერებენ — ორჯერ მეტი უნდა მოიყვანონ.

ინტერესით ეცნობა და გულით შეჰხარის მეწისქვილე თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ყოველ წარმატებას, შემდეგ მეზობლებსა და სახლიკაცებს უყვება ამაზე და მოწინავეთა მაგალითით აგულიანებს მათ:

— რას შვრებიან შენი ძროხები, ლუბა, — ეკითხება დავითი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მწველავს ლუბა ჩაჩუას. — რამდენს იწველიან?

— ვერაფერს მაინცდამაინც. ჯერჯერობით 750 ლიტრი მაქვს მოწველილი თვითეულზე.

—რა ვიცი, რა, საკოლმეურნეო კრებაზე მოწინავე მწველავად კი დაგასახელეს და... — იცინის მეწისქვილე. — არა, შენ და ნინო ჩხაიძე სხვებს მართლაც სჯობიხართ.

— დამცინი, დავით ბატონო, არა? არც ისეა საქმე. ჯერ სამეურნეო წლის დამთავრებამდე ერთ თვეზე მეტი დარჩა და უკვე გეგმა თითქმის შესრულებული მაქვს.

— შენ გეგმას რას უყურებ, ჩემო კარგო, ერთი სხვებსაც გადახედე. ზემო მაჩხაანი გაგიგონია? წითელწყაროს რაიონშია ეს სოფელი, აქ ერთი ახალგაზრდა მწველავი ყოფილა ჩიტო ჯანაშვილი, მარტო ნახევარ წელიწადში ათ ძროხაზე 2.116 ლიტრი რძე მიიღო თვითეულიდან. მაგათ უნდა დაიტრაბახონ, ფერმა გვაქვს და საქონელს ვუვლითო, თორემ ჩვენ რა! მერე და რა გგონია, ყველაფერი მოვლაზეა დამოკიდებული. ჩვენი საქონლის ძირითადი საკვები ჩალა, სილოსი და ღერღილია. იქ კი ათასნაირს ურჩევენ თურმე: ეს საკვები ჭარხალიო, გოგრაო, საზამთროო, სუდანური ბალახიო და ვინ მოთვლის. აჰა გაზეთი, წაიკითხე და დაუკვირდი. ბევრ რამეს ისწავლი.

— შენ, ჩემო ალექსანდრე, ძალიან კი ნუ მოიწონებ თავს, ნაკვეთზე 60 ცენტნერი ყურძენი რომ მოიყვანე და კოლმეურნეობაში ყველას აჯობე, — უთხრა ერთხელ მეწისქვილემ კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეს ალექსანდრე კაცაძეს და გაზეთი გაუშალა ცხვირწინ. ახლა აქაც წაიკითხე, სოფელ ალავერდში ბიძინა კვანტრიშვილის ბრიგადას 110 ცენტნერი მოუყვანია საშუალოდ ჰექტარზე, ბრიგადის წევრებს ნიკოლოზ, გრიგოლ და ვედიკ კვანტრიშვილებს კი 200 ცენტნერზე მეტი. მერე და დასაკარგავში არ გეგონოს ეს სოფელი, აგერ ზესტაფონის რაიონშია.

არაფერი, სოფლის უბრალო წვრილმანიც არ გამოეპარება მეწისქვილეს, კიდევაც რომ არ უამბოთ, საფქვავზე შეატყობს. ვის რა ულხინს, რა უჭირს. ამას წინათ ავთანდილ ზაქარეიშვილმა ურმით მიაყენა საფქვავი: სიმინდი, ხორბალი. ეს დამიფქვიო, ეს დამიღერღეო და რა ვიცი.

— ოჰო, ქორწილი გაქვს, ბიჭო? ავთანდილმა იუარა.

— მოიცა, მოიცა, შენ რას მომატყუებ! ახლა გადაიქეცით ჰამად? ქორწილისათვის ემზადები ხომ? მე რას მიმალავ, ბიძიკო, საპატარძლო ვინ არის? მაყვალა ხომ არა, ჩაჩუას ქალი: რას იცინი. მეც კაი ეშმაკი ვარ. მიგიხვდი თუ არა? გაბედნიეროთ, შვილო!

წელს დაბლა გომის კოლმეურნეობა სამტრედიის რაიონში სიმინდის ყველაზე უკეთეს მოსავალს იღებს — 55 ცენტნერს საშუალოდ ჰექტარზე. მერე ცოტა კი არ ეთესათ სიმინდი—255 ჰექტარი. ბავშვივით გახარებულია მეწისქვილე, მეზობელ სოფლიდან წისქვილში შემთხვევით შემოსული თუ ნახა ვინმე, ისე როგორ მოეშვება, მთელი საათი არ ილაპარაკოს თავისი კოლმეურნეობის წარმატებებზე.

— ჩვენ, დაბლაგომელებს, სხვაზე მეტად გვიყვარს შრომა, ძმაო. ამიტომაც ვჯობნივართ სხვებს; ერთმანეთს არ ვუღალატებთ, ერთი პირი ვიცით შრომაში. აგერ მე, უბრალო მეწისქვილეს რომ მიყურებთ, ერთი ინვალიდი კაცი ვარ, მაგრამ მეც მიმიძღვის წვლილი ჩვენი კოლმეურნეობის გამარჯვებაში. აბა, თავის დროზე ნუ დაუფქვავ დიასახლისს ჯერს, თუ არ მოცდება საქმე! თავის დროზე ნუ მიაწვდი ძროხებს დაფქვილსა და დაღერღილს, თუ რამეს მოიწველიან!

თავისი სოფლის დიდი მოჭირნახულეა დავითი და სწუხს, მარტო ამ წისქვილს რომ უნდება და სხვა საქმეზე არ უწვდება ხელი. ამ ზაფხულს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აკაკი ჩაჩუას შესჩიოდა:

— აბა დააშრეთ ნარიონალი, არა? ყოჩაღ ძმაო, დიდი შრომა გასწია ხალხმა, სამაგიეროდ 15 ჰექტარი მიწა შემოგვემატა, მერე რა მიწა! ოჰო-ჰო-ჰო, სიმინდის მოსავალი მანდ უნდა ნახოთ! მე კი ვერაფერს წაგეხმარეთ. სიბერეში რომ მკითხავენ შვილიშვილები, რა ვუთხრა, ამბროსია გოგიშვილმა და გაბრიელა ჩხაიძემ დააშრეს ამ ადგილას ჭაობი, მე კი დღედაღამ ხვიმირებს ვუჯექი-მეთქი?

წისქვილში სტუმარი არ დაილევა, არც მეწისქვილეს დაელევა ახალი ამბები. ჩვენი ცნობათა ბიუროაო, ხუმრობენ სოფელში მასზე, და დავითი როდი სწყინს, იფერებს და, მგონი, უხარია კიდეც.

— ეს ჩემი მეორე თანამდებობაა, — იცინის. — შეთავსებით მივიღე. რა გეშველებოდათ, მე რომ არ ვიყო, როგორ მოიკითხავდით ერთმანეთს? თვიდან თვემდე ვერ გაიგებდით ერთმანეთის ამბავს.

მეწისქვილეს სტუმარი არ მოაკლდება, ზაფხულობით მაინც ცოტა უფრო მოწყენილად არის საუბრის მოყვარული დავითი. აბა ვისა სცალია წისქვილში დიდხანს დასაჯდომად და სალაყბოდ, ყველას ყანაში, ვენახში, ფერმაში მიეჩქარება. სამაგიეროდ გვიან შემოდგომაზე და ზამთარში თავს ლაღად გრძნობს მეწისქვილე, როცა უამინდობის გამო გარეთ სამუშაოდ არ გაისვლება, წისქვილში იყრიან თავს კოლმეურნეები, შემოუსხდებიან ცეცხლს, დინჯად აბოლებენ შინაურ თუთუნს და ტკბილად ბაასობენ სოფლისა და ქვეყნის ამბებზე: მოსავალზე, გამგეობის მომავალ არჩევნებზე, სოფელში აფთიაქის გახსნის აუცილებლობაზე, საბავშვო ბაღებსა და ბაგებზე და იმაზეც, სად, რომელ ოჯახშია უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ქორწილი და ძეობა, ლხინი და ქეიფი.

გარეთ მძლავრობს შემოდგომის ქარი და აღმოსავლეთისაკენ მიერეკება ტყვიისფერ ღრუბლებს, აღარ შერჩათ სამოსი ხეებს, ხმელ ფოთლებზე ნაღვლიანად ტკაპუნებენ წვიმის წვეთები... წისქვილში კი მხიარულად გუგუნებს ცეცხლი, ბრუნავენ ვეება დოლაბები, ბრუნავს და ღუღუნებს ელექტროაღმრიცხველი, სარეკელას მონოტონურ კაკუნზე ცეკვავენ მარცვლები, ახალდაფქვილი სიმინდისა და ხორბლის სურნელება იფრქვევა გარშემო და მოსავლის ამბავს ჰყვებიან კოლმეურნეებიც, დოლაბებიც, სარეკელაც და ელექტროაღმრიცხველიც.

მ. მიქაძე.



კადრი ფილმიდან „მანანა".

# ახალი საბავშვო ფილმი

* * *

„მანანა"—ასე ეწოდება ახალ საბავშვო მხატვრულ სურათს, რომელიც ამ დღეებში ეკრანზე გამოუშვა კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა". ეს არის კინოკომედია, რომელიც მოგვითხრობს ცელქი გოგონას თავგადასავალს. ფილმი, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა იმით, რომ მასში დასმულია ბავშვთა აღზრდის მეტად საჭირბოროტო საკითხი.

მანანა დედით ადრე დაობლდა, მამამისი მსახურობს და შვილისადმი საჭირო ყურადღებას ვერ იჩენს. პატარა გოგონა მთლიანად ბებიასა და ბაბუას ანაბარად არის დატოვებული. თითქოს აქ უცნაური არაფერია. განა ერთი ბავშვისათვის ორი აღმზრდელი საკმარისი არ არის. ვის შეეპარება ეჭვი, რომ ბებიასა და ბაბუას მშობლებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ უყვართ თავიანთი შვილიშვილი. პირიქით მოხუცები მეტისმეტად სათუთად ექცევიან, უალერსებენ და ანებივრებენ პატარა მანანას, ყოველ სურვილს უსრულებენ, ყველაფერს უჯერებენ. მანანა გაკვეთილების მომზადებას გაურბის, მის საშინაო დავალებებს არითმეტიკაში ბაბუა ასრულებს, შვილიშვილის მაგივრად მას გამოჰყავს მაგალითები. ასეთი დამოკიდებულება ბავშვს თანდათან სწავლაზე გულს აუცრუებს.

ცელქი და უდისციპლინო მანანა ტყუილის თქმასაც შეეჩვევა. სხვა გამოსავალი არა აქვს. მდგომარეობამ ბუნებრივად მიიყვანა აქამდე.

ვერ ვიტყვით, რომ ფილმში თავიდან ბოლომდე მხატვრული თვალსაზრისით ყველაფერი გამართლებული იყოს; კომედიური სიტუაციების შექმნისას ავტორებს ხშირად ზომიერება ღალატობთ, ბევრგან ისინი აჭარბებენ, აზვიადებენ, ზედმეტ კომიკურ ფერებს ხმარობენ, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, სურათს არსებით ზიანს არ აყენებს. ფილმი მეტისმეტად ცოცხალი და ხალისიანია, სიუჟეტი დინამიკურად ვითარდება. რაც მთავარია, ფილმში არსებით მომენტებზე მოხდენილად არის გამახვილებული ყურადღება და ხალისიანი ტონები ხელს უწყობენ მთავარი შინაარსის, აღმზრდელობითი სენტენციების მკაფიოდ აღქმას.

პატარა მანანა კომიკურ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მაგრამ, არსებითად, ეს მისი ტრაგედიაა. თავისდაუნებურად ამოვარდა იგი კალაპოტიდან, შეუცნობლად მიექანება მოლიპული გზით და დაიღუპება, თუ არავინ შეაჩერა, გზაზე არ დააყენა, ნებისყოფა არ გაუღვიძა. სწავლა შეუძლია და სკოლაზე გული აიცრუა, შრომა შეუძლია და მხოლოდ ცელქობაში ატარებს დროს. შინაურებისაგან კონტროლსა და ყურადღებას მოკლებული ბავშვი საკუთარი თავის ანაბარად არის დარჩენილი. მოხუცების უბრალო გულშემატკივრობას კი მხოლოდ ზიანი შეუძლია მიაყენოს ბავშვის სწორ აღზრდას. ცხოვრების ეს მხარე სურათში სიმართლით არის გადმოცემული. რამდენია ასეთი მამა, და არა მარტო მამა, დედაც, რომელსაც შვილისთვის „არა სცალია", სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობით „გადატვირთულია", ერთხელ არ მიაკითხავს ბავშვს სკოლაში, თვალყურს არ ადევნებს, თუ როგორ მეცადინეობს მისი შვილი, როგორ ატარებს დასვენების დროს, რა იტაცებს, რით ცხოვრობს იგი. მატერიალურად უზრუნველყოფა — ეს არ არის სრულყოფილი ზრუნვა ბავშვზე.

ფილმში ვერ იპოვნით ამომწურავ პასუხს ამ კითხვებზე, მაგრამ მისი ღირსება ის არის, რომ მაყურებელში მკაფიოდ აღძრავს ამ კითხვებს, იგი შინ მხიარულად, მაგრამ ამ ფიქრებით ერთგვარად დამძიმებული მიდის.

ცოცხლად და მართლად დაგვიხატეს ბებიასა და ბაბუას სახეები რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ს. თაყაიშვილმა და ს. ჟორჟოლიანმა. ისინი ოდნავადაც არ აჭარბებენ! რაოდენი სითბო და უშუალობაა მათ თამაშში, და, ამავე დროს, რა ძლიერი მამხილებელი ძალა. რომელ ბებიას და ბაბუას არ აუჩუყებს გულს და არ აგრძნობინებს თავის შეცდომას შინაგანი იუმორით აღსავსე ეს სახეები.

სცენარის ავტორს მეტისმეტი სიძუნწე გამოუჩენია მანანას მამის დახატვისას, იგი ემპირიულად არის გააზრებული, დროდადრო, ეპიზოდურად ჩაერთვება ხოლმე ფილმში, მაშინ როცა იგი ფილმის ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, სცენის გამოცდილი ოსტატი ი. ტრიპოლსკი ახერხებს ხაზი გაუსვას ხასიათის ტიპიურ ნიშნებს და დასამახსოვრებელი სახე შექმნას.

ყურადღებას იქცევს მანანას როლის შემსრულებელი ნანული სარაჯიშვილი. რეჟისორებს ბრწყინვალედ გაუმართლდათ ალღო. იგი მსახიობი არ არის, ჯერ ისევ სკოლის მერხზე ზის, პირველად გამოდის სცენაზე და ისიც მთავარ როლში. დიდი ამოცანა დააკისრეს ნანულის — გაკიცხოს თავისი ცელქი მეგობრები. ბუნებრივ მონაცემებთან ერთად ბავშვს აღმოაჩნდა ზომიერების გრძნობა და მან შექმნა ცოცხალი, ხალისიანი და თავიდან ბოლომდე უშუალობით აღსავსე სახე. სადაც სცენარის ავტორისა და რეჟისორების მიერ ბავშვი ბუნებრივ მდგომარეობაშია ჩაყენებული; იქ ნ. სარაჯიშვილის სახე მხატვრულად მართალია, დამაჯერებელი და მიმზიდველი, კერძოდ იმ მონაკვეთში, როდესაც იგი გზააცდენილ ბავშვს თამაშობს.

მანანას გარდაქმნა მეტისმეტად ხელოვნურად ხდება, უცბად, ბავშვის გონებისა და გრძნობის მონაწილეობის გარეშე. ბავშვის რთული ბუნება მეტ დროს მოითხოვს სრული გარდაქმნისათვის. მან ხომ თავის თავთან ბრძოლაში უნდა დასძლიოს ის, რაც დროთა განმავლობაში მის ყოფაში დამკვიდრდა, მისი ხასიათის თვისებად იქცა. ამ დაძლევის პროცესი რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ფილმში კი იგი იოლად არის გადაწყვეტილი. ბავშვი ერთ წუთში გადის იმ გზას, რაც, მეტი რომ არა ვთქვათ, მთელი რიგი თვეების მანძილზე უნდა გაიაროს თავის თავთან მძიმე ბრძოლით. ეს გარემოება დამაჯერებლობას უკარგავს მხატვრულ სახეს და ფილმსაც საკმაო ზიანს აყენებს.

ეს ნაკლი შემთხვევითი არ არის. ფილმის შემქმნელ კოლექტივს ბევრი უფიქრია კომედიურ ხაზზე და ნაკლები შრომა დაუკარგავს პოზიტიური მხარის მხატვრული სრულყოფისათვის. სუსტად არის დახატული სკოლა, მასწავლებლის ეპიზოდური სახე (შემსრულებელი ა. სიხარულიძე) ღრმად არ არის გააზრებული, ფილმში იგი მოკლებულია კონკრეტულ ფუნქციას. ამიტომ ძნელია, რომ ის ჩვენი პედაგოგების რომელიმე ტიპის დახასიათებისათვის გამოდგეს, ძალიან მშრალად არის დახატული პიონერხელმძღვანელი, რომელსაც ასრულებს ლ. ჩხეიძე. სცენარის ავტორმა და რეჟისორებმა პიონერს წაართვეს ბავშვური უშუალობა. მისი ლაპარაკი და მოქმედება დაშტამპულია. მართალია რაზმეულის ხელმძღვანელი პიონერის მოქმედებაში მეტი გონიერება და პასუხისმგებლობის შეგნება უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ ბავშვურ უშუალობას იგი არ უნდა კარგავდეს. პიონერხელმძღვანელი პატარა მასწავლებელს კი არ უნდა თამაშობდეს, არამედ მოსწავლეების კეთილი მეგობრისას. ამის გაუთვალისწინებლობა დიდად აზიანებს ფილმს, ამცირებს მის აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალას.

საინტერესო, კოლორიტულ სახეებს ქმნიან ფილმში მსახიობები მ. ჩახავა (მეეზოვე) და ი. ხვიჩია (სახლის კომენდანტი), მაგრამ ეს ხაზი საბავშვო ფილმში ზედმეტად მიგვაჩნია, იგი ხელოვნურად არის ჩართული სურათში კომედიური სალებავების გასაძლიერებლად. კარგად ასრულებს ადმირალის როლს ი. კობალაძე.

ფილმი „მანანა" საინტერესო საბავშვო მხატვრული ნაწარმოებია. დამდგმელ კოლექტივს დიდი პასუხისმგებლობით უმუშავნია და შეუქმნია ნაწარმოები, რომელშიც ბევრია მხატვრულად კარგად მოფიქრებული და შესრულებული ადგილები, მახვილად დანახული შტრიხები, განსაკუთრებით მიმზიდველად არის გადმოცემული ის გარემო, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. ბუნების ლამაზი პეიზაჟები სურათს ცხოველმყოფელობას მატებენ. მუსიკაც კარგია, ინტონაციურად იგი ორგანულად არის შერწყმული ფილმის მთელ შინაგან რიტმთან.

აღნიშნულ ღირსებათა მიუხედავად, არ შეიძლება ნიჭიერი გადამღები კოლექტივის ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას. ფილმში ძალიან იგრძნობა „ჭრიჭინას" და „აზეზარას" ინტონაცია. ეს დიდი ნაკლია. რეჟისორები და კომპოზიტორი ღრმად უნდა ჩაუკვირდნენ ამ გარემოებას და შემდეგში მეტი დაკვირვებით იმუშაონ, რათა სრულ შემოქმედებით დამოუკიდებლობას მიაღწიონ და ჩვენი კინოხელოვნება ახალი გამარჯვებებით გაამდიდრონ.

ერ. ქარელიშვილი.

* სცენარი ე. გედევანიშვილისა, რეჟისორები ზ. გუდავაძე და მარტაშვილი, ოპერატორი — ო. მაგაკიანი, მხატვარი — თ. მირზაშვილი, კომპოზიტორი — მ. დავითაშვილი.

## მეცნიერება და ტექნიკა

### ლითონის ჭრის პრობლემა

თბილისში მუშაობა დაამთავრა ლითონის ჭრის თანამედროვე პრობლემებზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის უდიდეს უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა 150 მეცნიერმა.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის პროფესორის ე. ნადეინსკაიას მოხსენებამ „რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენება საჭრელი ინსტრუმენტის გაცვეთის გამოსაკვლევად". მოხსენებაში მან გააშუქა რადიოაქტიური იზოტოპების მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და დიდი სიზუსტით გავზომოთ საჭრელი ინსტრუმენტის გაცვეთის პროდუქტების რაოდენობა ისე, რომ არ შევწყვიტოთ ჭრის პროცესი.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ე. გირშფელდმა თავის მოხსენებაში განაზოგადა საინტერესო მასალა ჭრის პროცესების ძირითად კანონზომიერებათა და დამუშავებისას შრომის ნაყოფიერების შესახებ. ცოცხალი ინტერესი გამოიწვია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის ტ. ლოლაძის მოხსენებამ „საჭრელი ინსტრუმენტის გაცვეთის ბუნება". მან ილაპარაკა საჭრელი ინსტრუმენტების გაცვეთის მის მიერ შექმნილი ახალი ორიგინალური ადგეზიურ-დიფუზიურ თეორიაზე, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ძვირფასი გამოკვლევები, რომლებიც ეხებიან ლითონების ჭრის აქტუალურ პრობლემებს, კონფერენციას გააცნო პოლონელმა მეცნიერმა, კრაკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ი. კოჩარეკმა. კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა ა. რეზნიკოვმა თავისი მოხსენება მიუძღვნა მანქანათმშენებლობის დიდმნიშვნელოვან თანამედროვე პრობლემას — ლითონების ჭრისას ტემპერატურულ არეხა და სითბოს ნაკადებს.

კონფერენციაზე სულ მოსმენილ იქნა 72 მოხსენება. მისმა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საბჭოთა მეცნიერების დიდი და პასუხსაგები როლი კომუნისტური მშენებლობის იმ დიდებული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში.

(საქინფორმი).

## თბილისის სტუმრები

გუშინ, 22 ნოემბერს, სოჭიდან თბილისს ჩამოვიდა ერაყის რესპუბლიკის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მოწვევით. დელეგაციაში, რომელსაც მეთაურობს ქალაქ ბაღდადის მერი ბრიგადის გენერალი აბდულ მაჯიდ ჰასანი, შედიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აბდულა აჰმადი, მაჰმუდ ალ-მუდარისი, აბდულა ისჰან ქამილი, სულეიმან სამი სულეიმანი, რიფატ ქამილ ალ-ჩადარჯი, ჰასან რიფატ მაჰმუდი.

აეროდრომში დელეგაციის წევრებს შეხვდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ს. ვაშაკიძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. ლომიძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი შ. რ. ბაქრაძე, ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი ა. ა. თევზაძე, საქალაქო საგეგმო კომისიის გამგე გ. ლ. ბერიძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოების უფროსები და განყოფილებათა გამგეები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

სტუმრებს საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის სახელით მიესალმა გ. ს. ვაშაკიძე.

საპასუხო სიტყვაში ბაღდადის მერმა აბდულ მაჯიდ ჰასანმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, კეთილი გრძნობებისათვის, რომლებიც გამოხატავენ მეგობრულ დამოკიდებულებას ერაყელი ხალხისადმი.

მალე ჩამოსვლის შემდეგ დელეგაციამ ვიზიტი გაუკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გ. ს. ვაშაკიძეს.

ნაშუადღევს დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს ქალაქში. საღამოს ისინი ეწვივნენ საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას, სადაც მათ უჩვენეს თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმები. (საქინფორმი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს პირველობაზე უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ჟ. ქაჯაიამ მაღალი შეფასება მიიღო და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სურათზე: სპორტის ოსტატი ჟ. ქაჯაია. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სპორტის ამბები

### ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ხარკოვი. 22 ნოემბერი. (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის პირველი ტური.

საინტერესოდ მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონის მ. ტოგონიძისა და საერთაშორისო ოსტატის ა. გურფინკელის შეხვედრა, რომელიც მ. ტოგონიძის გამარჯვებით დამთავრდა. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ც. გაფრინდაშვილმა ვ. ტიხომიროვასთან შეხვედრაში ხარისხი მოიგო და გადადო პარტია მოსაგებ მდგომარეობაში. ვ. ბორისენკო და ე. კაკაბაძე მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ. ტ. ფილანოვსკაიასა და ა. ჩაიკოვსკაიას პარტია გადაიდო სხვაიმო მდგომარეობაში. ს. როოტარე-ლ. ვოლპერტი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### როსტოვის სკვო — „ა" კლასში

ამოიწურა „ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა. გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა გადამწყვეტი შეჯიბრება როსტოვისა და სვერდლოვსკის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბების ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ (1:1).

ამრიგად, როსტოვის სკვო-ს გუნდმა „ბ" კლასის ზონებში გამარჯვებულთა დასკვნით ასპარეზობაში 10 შესაძლებლობიდან შეგროვილი 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და „ა" კლასში გადავიდა.

გამარჯვებულ ფეხბურთელებს საზეიმოდ გადაეცა თასი და დიპლომები. მათვე დაუშვეს ალამი.

### რამდენიმე სტრიქონით

ⓞ კანადის კლუბის „კელოვნა პეკერსის" შაიბიან ჰოკეისტთა კოლექტივმა მორიგი ორი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა მოსკოვის „კრილია სოვეტოვისა" და „დინამოს" გუნდებთან და ორივე ფრედ (1:1, 2:2) დაამთავრა.

ⓞ დღეს ლვოვში იწყება სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ორი გუნდი, რომლებიც დაკომპლექტებულია ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენებით.

# ქართველ ფსიქიატრებთან

ჩვენს რესპუბლიკაში ფსიქო-ნევროლოგიური მკურნალობა და ამ მეცნიერების განვითარება, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის პროფესორ მ. ასათიანის სახელთან. მის მიერ შექმნილი ფსიქიატრიული სკოლა, რომელსაც კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მეცნიერები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა ფსიქონევრულ დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის საქმეში.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი ამჟამად მუშაობს მძიმე დაავადების — შიზოფრენიის თეორიული შესწავლისა და პრაქტიკული მკურნალობის პრობლემაზე. მას ბევრი რამ აქვს გაკეთებული ამ პრობლემის კლინიკური და ბიოლოგიური მხარის შესასწავლად და დასახული აქვს მკურნალობის გზები.

ამ დაავადების სამკურნალოდ აქ გამომუშავებულია ახალი მეთოდები. ფსიქო-ნევრულ დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში გამოყენებულია ძილით თერაპია, კრუნჩხვითი მკურნალობა, შემუშავებულია მკურნალობის კომბინირებული მეთოდი. გამოკვლევები მიმდინარეობს ახალ პრეპარატებზე ამინაზინზე და ინსულინზე, ყურადღება ექცევა ფსიქიური ზეგავლენით მკურნალობას, რაც ხორციელდება შთაგონებით თუ ჰიპნოზით.

ამ საკითხებზე ინსტიტუტში შესრულებულია პროფესორების ი. მენთეშაშვილის, ე. გობრონიძის, ვ. იაშვილის, ს. ენუქიძის, დოქტორ ა. მაკარიძის, დოცენტ ნ. ვეშაპელის, მეცნიერი თანამშრომლების ე. ნაკაშიძის, ვ. ჯიმშელეიშვილის, ო. ჭითავას, ი. ყუბანეიშვილის, ბ. ნანეიშვილის და სხვათა ნაშრომები.

გარკვეულ მუშაობას აწარმოებენ ფსიქიატრები ფსიქო-ნევრულ დაავადებათა პროფილაქტიკის, ფსიქოჰიგიენის ხაზით, კითხულობენ ლექციებს საწარმო-დაწესებულებებში და რაიონებში ალკოჰოლის მავნეობის, ბავშვთა აღზრდის და სხვა საკითხებზე.

ქართველ ფსიქიატრებს ურთიერთობა აქვთ უცხოელ მეცნიერებთან. პროფესორი ასტრუპი ოსლოდან ითხოვს აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის შრომას „შიზოფრენიის კლინიკური მკურნალობა".


აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი.

ლონდონელ პროფესორს სურიას ესაჭიროება მისი გამოკვლევა „სიტყვის მნიშვნელობის შესახებ", რომელიც გამოქვეყნებული იყო სპეციალურ ჟურნალში, და ბევრი სხვა გამოკვლევა. ინსტიტუტი უცხოეთის მისამართით ხშირად გზავნის წიგნებს და იქიდანაც იღებს სხვადასხვა ნაშრომებს. ინსტიტუტში ამას წინათ იყო ბრაზილიელი პროფესორი პურზა, პოლონეთის სამედიცინო აკადემიის წევრი პროფესორი ვანდა მაკუხი.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი არის ნევრო-პათოლოგთა და ფსიქიატრიული საზოგადოების გამგეობის წევრი, ჟურნალის „ნევროპათოლოგია და ფსიქიატრია" და დიდი საბჭოთა სამედიცინო ენციკლოპედიის ერთ-ერთი რედაქტორი. მისი ავტორობით მესამედ გამოდის ფსიქიატრიის სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ტვინის ნატიფ უჯრედთა ურთიერთკავშირის (სინაფსი) შესახებ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც მხოლოდ აქ წარმოებს მუშაობა, აქ არის ამ კვლევის ცენტრი.

ინსტიტუტის კოლექტივი პრაქტიკულად მუშაობს ფსიქიატრიის კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე. იგი საქართველოში 80 წელია არსებობს. მასთან შექმნილია და ადამიანის მკურნალობას ემსახურებიან კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და კაბინეტები.

ე. მამალაძე.

# ცხელი გულების ქვეყანა

წარმომიდგენია, რა მხურვალედ მიესალმნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას, როცა იგი ჩავიდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. წარმომიდგენია, რადგან ერთი წლის წინათ მე მივლია ამ საუცხოო ქალაქის ქუჩებით, მ ი ს ა უ ბ რ ი ა ქართველებთან და საკუთარ თავზე დავრწმუნდი, რა გრძნობები აქვთ საქართველოს მცხოვრებლებს ჩვენი სამშობლოს მიმართ.

ძნელია იმ გულითადობის დავიწყება, რასაც ქართველებს აღუძრავს ხოლმე სიტყვა პოლონეთი ან პოლონელი. რატომ არის ასე? ჩვენ ხომ მრავალი კილომეტრით ვართ დაშორებული ერთმანეთს. ძნელია იმ არაჩვეულებრივად მხურვალე სიმპათიის მიზეზების გამოცნობა, რითაც გამსჭვალული არიან ჩვენდამი ეს შავგვრემანი ამიერკავკასიელი მთიელები. რასაკვირველია, ამის მიზეზია არა მარტო ანალოგია ჩვენი ხალხების ისტორიაში, არამედ აგრეთვე პოლონელი და ქართველი რევოლუციონერების ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინაამდეგ. ამ ბრძოლის ხსოვნა ჯერ კიდევ ცხოველია ქართველთა მეხსიერებაში, ხოლო ამ ქვეყნის ყველაზე დიდი პოეტის მუზეუმში ყველაზე საპატიო ადგილას ჰკიდია ადამ მიცკევიჩის პორტრეტი.

თბილისი საუცხოო ქალაქია... ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, რომლებიც კი მე მინახავს. აი რუსთაველის სახელობის პროსპექტი, რომელსაც უამრავი მწვანე ამკობს. ოქტომბრის ბოლო იყო მაგრამ აქ ყველგან ჰყვაოდნენ წითელი უცნაურფოთლიანი მცენარეები. შრიალებდნენ დიდ კასრებში ჩარგული პალმები.

პროსპექტზე უამრავი ხალხია. პროსპექტზე გასეირნება უყვართ თბილისელებს...

თვალში გეცემათ სტუდენტთა ლამაზი რაიონი და ახალგაზრდობის სიმრავლე. ყველგან აუარებელი ახალგაზრდობაა. ეს მით უფრო უცნაურია, რომ კავკასია განთქმულია თავისი მცხოვრებლების ხანგრძლივი სიცოცხლით. საიდუმლოებას გამოიცნობთ. როცა ვიტყვი, რომ საქართველოს აქვს მსოფლიოში ყველაზე მეტი პროცენტი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისა და ამასთან დაკავშირებით თბილისი ქალაქია, სადაც ათას მცხოვრებზე მოდის სტუდენტთა მეტი რაოდენობა, ვიდრე სადმე მსოფლიოში. ქართველებს აქვთ რაღაც ულრმესი მისწრაფება ცოდნისადმი. არსად არ მსმენია იმდენი დისკუსია ეკონომიური, ხელოვნებისა და პოლიტიკურ თემებზე. როგორც სწორედ თბილისელ სტუდენტთა შორის რომლებსაც ახლოს გავეცანი და რომლებთანაც ბევრი მისაუბრია.

ჯერ კიდევ საქართველოში ჩასვლამდე გამეგონა, რომ ეს არის ერთ-ერთი, უთუოდ, მდიდარი რესპუბლიკა. ასეც არის სინამდვილეში. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ეს აშკარად ჩანს აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, განვითარდა მრეწველობა. მისი პროდუქცია 12-ჯერ აჭარბებს რევოლუციამდელს. ისინი უშვებენ სულ სხვადასხვა პროდუქციას, დაწყებული ელექტრომავლებით და დამთავრებული უაღრესად წმინდა კაპრონის წინდებით.

დედაქალაქის მცხოვრებლებს, ბუნებრივია, მეტად უყვართ... მევენახეობის პროდუქცია. აქაური კახური ღვინოები „წინანდალი" და „გურჯაანი" გააქვთ მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ მათი დალევა უკეთესია ადგილზე. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საქართველოში, მას არასოდეს არ დაავიწყდება ამ ღვინოების გემო და სურნელება, აგრეთვე სასადილოები, სადაც შამფურებით მოგართმევენ მწვადს, რომელსაც ქონი სწვეთავს. თან მოაყოლებენ საწინლად ცხარე საწებელს და რასაკვირველია, დიდ ჭიქას, რადგან ყოველივე ამას სასმელი უნდა დააყოლო...

მაგრამ არც ფანტასტიკური ეგზოტიკა, არც მომხიბლავი ბუნება არ სტოვებენ მეხსიერებაში ისეთ კვალს, როგორსაც ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი, რომლებსაც მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო. თბილისი ქართულად ნიშნავს „ცხელი წყაროების ქალაქს". თამამად შემიძლია ვთქვა რომ ეს არის ცხელი გულების ქალაქი.

ა. ვისოცკი,
პოლონელი ჟურნალისტი.
ვარშავა.

## საერთაშორისო თემაზე

# ათას მეორე ზღაპარი...

სასიკვდილოდ განწირულმა პირმშვენიერმა და გონებამახვილმა არაბმა გოგონამ შაჰრაზადამ ათას ერთ ღამეში ათას ერთი წარმტაცი ზღაპრის თხრობით მოიგო თურმე მრისხანე შაჰრიარ მეფის გული, რითაც არა მარტო განსაცდელისაგან იხსნა თავი, არამედ მართლაც ზღაპრულად დააგვირგვინა საკუთარი სვე-ბედი და გულგამთბარ შაჰრიარ მეფის ცოლობას ეღირსა... ამგვარ ქარგაზეა აგებული ცნობილი არაბული ხალხური ზღაპრები „ათას ერთი ღამე"...

ჰაშიმელთა სამეფო საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის — ჰუსეინის ბავშვობა და ყრმობა ჭეშმარიტად ზღაპრული იყო. იორდანიის ტახტის მემკვიდრე ჰუსეინისათვის ჩიტის რძეც კი არ მოუკლიათ მის ინგლისელ ძიძებს, რომელნიც ჰუსეინს ბავშვობიდანვე მზრუნველად უნერგავდნენ ბრიტანეთისადმი მორჩილების გრძნობას. მართალია, ალექსანდრიის ინგლისურ კოლეჯ „ვიქტორიაში", ბრიტანეთის კოლეჯ „ჰაროუსა" და სანდჰერსტის სამხედრო სასწავლებელში სწავლით ჰუსეინს თავი მაინცა და მაინც არ შეუწუხებია, სამაგიეროდ მან კარგად შეითვისა ინგლისელ არისტოკრატთა ზნე-ჩვეულებანი, ინგლისური კროკეტი, ჯირითი და... პოკერი! ბედი მართლაც სწყალობდა ჰუსეინს; როდესაც 1953 წლის 2 მაისს მას 18 წელი შეუსრულდა, ჰუსეინმა არა მარტო „სიმწიფის ატესტატი", არამედ იორდანიის სამეფო ტახტიც მიიღო თავისი ინგლისელი ძიძების ხელთაგან.

მაგრამ ჰუსეინის უდარდელმა მეფობამ იორდანიაში სამიოდე წელიწადს გასტანა. 1956 წელს გაძვალტყავებულმა და გამძვინვარებულმა იორდანიის ხალხმა იორდანიიდან განდევნა ჰუსეინის მარჯვენა ხელი — გლაბფაშად წოდებული ინგლისელი გენერალი ჯონ ბაგოტ გლაბი. ხოლო როდესაც მიმდინარე წლის ივლისში ერაყელი ხალხის ანტიიმპერიალისტურმა რევოლუციამ წუთისოფელს გამოასალმა ჰუსეინის ბიძაშვილი ბაღდადში მჯდომი ერაყის მეფე ფეისალ II, ჰუსეინიც აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

განსაცდელში ჩავარდნილმა ჰუსეინმეფემ უხმო თავის ინგლისელ ძიძებს და როდესაც იორდანიაში ინგლისის ჯარები შევიდნენ, ცოტა არ იყოს დამშვიდდა კიდევაც. უფრო მეტიც, — გამხნევებულმა ჰუსეინმა ერთხანს ბაღდადზე გალაშქრებაც კი განიზრახა, მაგრამ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ერთსულოვანმა აღშფოთებამ არა მარტო ჩაფუშა ბაღდადზე ლაშქრობის ჰუსეინის დონკიხოტური გეგმები, არამედ ჰუსეინის მზრუნველი ინგლისელი ძიძები აიძულა ამა წლის ოქტომბრის დამლევს გაეყვანათ თავიანთი ჯარები იორდანიის ტერიტორიიდან.

იორდანიის ხალხის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილი ჰუსეინ მეფე კვლავ განსაცდელში ჩავარდა. იფიქრა ჰუსეინმა, იფიქრა და თავის სასახლეში მოუხმო ინგლისისა და ამერიკის ელჩებს. შეჰღაღადა გამათავისუფლეთ იორდანიის მეფობის მოვალეობისაგანო. ამავე დროს ჰუსეინმა იორდანიის ხალხს მიმართა და განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში აპირებს „სამკურნალოდ და დასასვენებლად" გამგზავრებას ევროპაში; თუმცა კი უცხოელმა ელჩებმა არც თუ ორაზროვნად განუცხადეს, რომ იგი, როგორც იორდანიაში მცხოვრები მეფე-გვირგვინოსანი, მათთვის ძვირფასი საგანძურია, ხოლო ტახტიდან გადამდგარ და სამშობლოდან ლტოლვილ ჰუსეინს ჩალის ფასი ექნებაო. კვლავ საგონებელს მიეცა ჰუსეინ მეფე. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ამა წლის 10 ნოემბერს წამოიწყო ინგლისური ბლეფით შეზავებული ათას მეორე არაბული ზღაპარი:

...10 ნოემბერს, დილაადრიან, იორდანიის დედაქალაქ ამანიდან აფრინდა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და კურსი დასავლეთისაკენ აიღო. მაგრამ როგორც კი თვითმფრინავმა ქ. იერუსალიმს მიაღწია, მკვეთრად შეიცვალა კურსი და ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა; ნებადაურთველად გადაჰკვეთა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის საზღვარი და ქ. დამასკოს მიუახლოვდა. როდესაც დამასკოს „ალ-მეზას" აეროდრომის ადმინისტრაცია რადიოთი დაუკავშირდა თვითმფრინავს და შეეკითხა ფრენის მარშრუტის შესახებ, პილოტმა შეკითხვაზე არაფერი უპასუხა. მაშინ პილოტს სთხოვეს დაშვებულიყო აეროდრომზე და ფრენის განსაგრძობად ნებართვა მიეღო. მაგრამ პილოტმა უარი თქვა ძირს დაშვებაზე და აეროპორტს აცნობა, რომ ბრუნდება იორდანიის ტერიტორიაზე. „ალ-მეზას" აეროდრომის ადმინისტრაციამ უკან დაბრუნებულ დაუპატიჟებელ სტუმარს იორდანიის საზღვრამდე თან ახლო „მიგის" ტიპის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები.

ორი საათიც არ იყო გასული ამ ინციდენტის შემდეგ, რომ ჰუსეინ მეფემ ამანის რადიოთი განუცხადა იორდანიის ხალხს, რომ როდესაც იგი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით ევროპაში „სამკურნალოდ და დასასვენებლად" მიემგზავრებოდა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის ტერიტორიაზე მას თითქოს თავს დაესხნენ „მიგის" ტიპის ავიაგამანადგურებლები, რის გამო იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და ამიტომ საჭიროდ მიიჩნია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის „აგრესიულ" მოქმედებაზე საჩივარი შეიტანოს არაბული ქვეყნების ლიგასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ვიდრე ჰუსეინ მეფის „ვაჟკაცობით" განცვიფრებული იორდანიელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ როგორ მოახერხა ჰუსეინის სატრანსპორტო თვითმფრინავმა გასხლტომოდა „მიგის" ტიპის რეაქტიულ ავიაგამანადგურებლებს, ან რატომ აღმოჩნდა დასავლეთ ევროპაში „სამკურნალოდ" მიმავალი ჰუსეინის თვითმფრინავი იორდანიის ჩრდილოეთით მდებარე სირიის საჰაერო სივრცეში, დამასკოსა და კაიროს რადიოსადგურებმა თვალი აუხილეს ჰუსეინის გმირობით „გულაჩუყებულ" იორდანიელებს, და მთელ მსოფლიოს შეატყობინეს, რომ ჰუსეინ მეფე არათუ არა მჯდარა 10 ნოემბერს დილით სირიის საჰაერო სივრცეში შეჭრილ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავში, არამედ ამ დღეს იგი თავისი სასახლიდან ქ. ამანში სულაც არ გამოსულაო.

არაბული გაზეთები ირონიით აღნიშნავენ, რომ ამგვარი მონაჭორებით ჰუსეინ მეფეს სურს ერთი მხრივ გამძვინვარებულ იორდანიელ ხალხს შეაბრალოს თავი, ხოლო მეორე მხრივ სახელი გაუტეხოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და ნიადაგი მოამზადოს იორდანიაში ე. წ. „საერთაშორისო საპოლიციო ჯარების" შეყვანისათვის, რომელთა შესაქმნელად ესოდენ თავგამოდებით იბრძვიან ამჟამად ჰუსეინ მეფის ინგლისელ-ამერიკელი ძიძები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ასეთია იორდანიის მეფე ჰუსეინის ათასმეორე არაბული ზღაპრის ჭეშმარიტი არსი.

პირმშვენიერმა და გონებამახვილმა შაჰრაზადამ ათას ერთ ღამეში ათას ერთი წარმტაცი ზღაპრის თხრობით იხსნა თურმე თავი განსაცდელისაგან... რაც შეეხება იორდანიის მეფე ჰუსეინს, ფრიად საეჭვოა, რომ მან მსგავსი მონაჭორებით არა მარტო იორდანიის ტახტი, არამედ საკუთარი თავი შეინარჩუნოს, თუნდაც რომ ჰუსეინის არაბული ზღაპრები უხვად შეაზავონ ინგლისური ბლეფით მისმა ოკეანეგაღმელმა ძიძებმა!

შ. კურდღელაშვილი.

რედაქტორი
დ. მეძღლიშვილი.

## დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ბალჩისარაის შადრევანი (დღისით, 1 აბონ. მე-2 წარმ.), კარმენ (საღამოს, მე-5 აბონ. მე-3 წარმ.), რუსთაველის სახელობის — არაგველები (დღისით), ესპანელი მღვდელი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — შემოსევა (დღისით), ხეები ზეზეულად კვდებიან (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — გვიანი სიყვარული (დღისით), მგზნებარე მეოცნებე (საღამოს), სომხური დრამის — ლუსი ლისინიანი (დღისით, აბონ. № 4), ფარჰად და შირინი (საღამოს), რკინიგზელის სახლი — გვიან და ბედნიერად (საღამოს), სანკულტურის — უკვდავნი (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითელქუდა (აბონ. № 22, 2 ს., აბონ. № 39, 5 ს.), თოჯინების ქართული — ყურშა (12 ს. და 3 ს.), ფილარმონიის საზამთრო — კონცერტი-ლექცია — საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედება (აბონ. № 2, 6 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, დირიჟორი ალგის ჟურაიტისი, სოლისტი სვიატოსლავ რიხტერი.

უე 06693
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14
2